პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 209 (9677) | პარასკევი, 4 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მეევენახეთა და მეღვინეთა ღირსების საქმე — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ამხანაგების მაო ძე-დუნისა და ჯოუ ენ-ლაის დეპეშა ამხანაგების გ. მ. მალენკოვისა და ვ. მ. მოლოტოვისადმი და გ. მ. მალენკოვისა და ვ. მ. მოლოტოვის პასუხი (1-ლი გვერდი).

შ. ცირეკიძე. — ვიდრე მომხმარებლამდე მივიდოდეს საგალანტერიო ნაწარმი (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

საყოველთაო-საცხოვრებო თემაზე. — მომხმარებლის შენიშვნები (მე-2 გვერდი).

მოსკოვი (მე-2 გვერდი).

ა. აზიზიანი. — ხალხთა მეგობრობა — ძლიერი ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია (მე-2 და მე-3 გვერდი).

პრესის მიმოხილვა. — „ტყვიარეულის მაღარელი“ უკეთ უნდა მუშაობდეს (მე-3 გვერდი).

გ. ზარდალიშვილი. — მარმარილოს მთა (მე-3 გვერდი).

დასავლეთ გერმანიის პარლამენტის არჩევნების წინ (მე-3 გვერდი).

მაკს რაიმანის მიმართვა დასავლეთგერმანელი ამომრჩეველებისადმი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მეევენახეთა და მეღვინეთა ღირსების საქმე

ასეხარულო ამბები მოდის ხაკოლმეურნეო სოფლებიდან. საადრეო ყურძნის ჯიშების კრეფა დაიწყო ხარისის, გიაურ-არხის, დიმის საბჭოთა მეურნეობებში. სექტემბრის შუა რიცხვებიდან საქართველოში სამრეწველო ჯიშის ყურძნის კრეფა-დამზადება მასობრივად გაჩაღდება. საბჭოთა სახელმწიფოს დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წელს ყურძნის მაღალ მოსავალს იღებენ. ეს ახარებს საბჭოთა ადამიანის გულს და აღფრთოვანებს მათ მორიგ წარმატებათა მოსაპოვებლად.

დიდი მოსავალი ახალ პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა მეურნეობების მუშაკების და დამამზადებელი ორგანიზაციების წინაშე. საჭიროა მიმდინარე წლის მაღალი მოსავლის შესაბამისად მომზადდეს ყურძნის მიღებისა და გადამუშავების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომ ამ უბანზე ყველა რგოლი საათის ზუსტი მექანიზმივით მუშაობდეს. დიდმა მოსავლმა თავბრუ არ უნდა დაგვახვიოს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი დიდი ქვეყანა, ჩვენი კოლმეურნეობები შეიძლება მდიდარი იყვნენ მარანში შენახული მოსავლით და არა აუღებელი მოსავლით.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მიმღები პუნქტები, ღვინის ქარხნები წელს რთველისათვის შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთ ემზადებიან.

მაგრამ ეს ოდნავაც არ იძლევა თვითდამშვიდების საბაბს. მით უმეტეს, რომ ადგილებიდან მოდის სიგნალები ყურძნის მიღებისა და გადამუშავებისათვის მზადებაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ. აღსანიშნავია, რომ სამტრესტის კარდანახისა და ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები და გურჯაანის, მაიაკოვკის, ჩოხატაურის ღვინის ქარხნები სუსტად ემზადებიან რთველისათვის, აქ ჯერ ღვინის გადამამუშავებელი ჭურჭლები არ მოუყვანიათ წესრიგზე. ამბროლაურისა და ცაგერის რაიადგილმრეწვის ღვინის ქარხნები მთლიანად არ არიან მომარაგებული ტარით, სამტრესტი აგვიანებს მათთვის ქმედითი დახმარების გაწევას. სამტრესტის ხაზით ვიწრო ადგილს წარმოადგენს მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში წყლის უქონლობა, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ყურძნის დროულად გადამუშავებაზე. ეს უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ სამტრესტის ხელმძღვანელებმა დროულად არ იზრუნეს მეურნეობებში წყალსადენის გაყვანისათვის. საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო მოვალეა კონკრეტულად დაეხმაროს სამტრესტს საბჭოთა მეურნეობებში წყლის პრობლემის გადაჭრის საქმეში.

რთველისათვის მზადებაში ხერხიზული ნაკლოვანებებია საქართველოს შამპანური კომბინატის ხაზითაც.

ჩვენში მნიშვნელოვნად ფართოვდება ღვინის მრეწველობა. ღვინის ახალი ქარხნები შენდება ყვარელში, ქისტაურში, ბადიაურში, ველისციხეში, ობჩაში, ხიმონეთში, წითელხევსა და გეგეჭკორში. სამწუხაროდ, ამ ქარხნების მშენებლობის ტემპი ახლაც არადამაკმაყოფილებელია, რაც ქმნის იმის საფრთხეს, რომ ისინი დაწესებულ ვადაზე ვერ ამუშავდებიან. „საქმსუბუქკვებმრეწვმშენი“ (მმართველი ამხ. მორეტი) და „საქჩაიმშენმონტაჟი“ (მმართველი ამხ. რუხაძე) მოვალენი არიან მაქსიმალურად გამოიყენონ მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსები, ისე წარმართონ, მთელი მუშობა, რომ უზრუნველყონ მშენებლობის დამთავრება ყურძნის მიღებისა და გადამუშავების სეზონის დაწყებამდე.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და დამამზადებელი ორგანიზაციების ამოცანაა უახლოეს დღეებში გამოასწორონ ნაკლოვანებანი ყურძნის მიღებისა და გადამუშავებისათვის მზადებაში. უწინარეს ყოვლისა საჭიროა რთველის დაწყებამდე დარჩენილი დრო მოხმარდეს ღვინის ქარხნების, ქარხსამმართველოების, მიმღები პუნქტების სანიმუშოდ მომზადებას, მოწყობილობის, დანადგარების დროულად შეკეთებას, დანაკლისი ტარის შეძენას, კოლმეურნეობათა სრულად მომარაგებას რთველისათვის საჭირო ინვენტარით.

დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის ქარხნების, მიმღები პუნქტების დაკომპლექტებას შემოწმებული, პატიოსანი და გამოცდილი კადრებით, როგორიც არიან მწონავები, მონაგარიშეები, შაქრიანობის გამსაზღვრელები. სამტრესტი და ქარხსამმართველოები ვალდებულნი არიან ამ კადრებთან მოაწყონ ინსტრუქტაჟი ყურძნის დამზადების, მიღებისა და ჩაბარების საკითხებზე, რათა მათ იმუშაონ პატიოსნად, ყველაფერზე მაღლა დააყენონ სახელმწიფოს ინტერესები, არ დაუშვან ჩამბარებელთა მოტყუება წონა-ზომაში და მათთან ანგარიშსწორების საქმის შეფერხება.

რთველის პერიოდში უნდა გაძლიერდეს აგრონომიული კონტროლი ყურძნის კრეფის ხარისხის დაცვისადმი. საჭიროა მევენახეობის რაიონებმა სამტრესტთან და საქართველოს შამპანურ კომბინატთან ერთად განსაზღვრონ ყურძნის კრეფისა და ჩაბარების ვადები ცალკეული სოფლებისა და კოლმეურნეობების მიხედვით ყურძნის ტექნიკური სიმწიფის პერიოდში და გადამუშავებელი საწარმოს სიძლიერის გათვალისწინებით, უზრუნველყონ ყურძნის კრეფისა და გადაზიდვის დადგენილი დროის დაცვა. სასტიკად აკრძალულია მოუმწიფებელი, უკონდიციო ყურძნის მოკრეფა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება. საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ ყურძენი იკრიფებოდეს ცალცალკე ჯიშების მიხედვით, კრეფის დროს მოეწყოს დაზიანებული მარცვლის გამორჩევა მტევნიდან. აგრონომები მოწოდებული არიან თავიანთი ყოველდღიური მუშაობის ყურადღების ცენტრში დააყენონ დასამზადებელი ყურძნის ხარისხის ამაღლების საკითხი და ყოველმხრივ დაეხმარონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს რთველის ორგანიზებულად მოწყობაში. მეღვინეთა მოვალეობაა ურყევად დაიცვან ყურძნის გადამუშავების ტექნოლოგიური წესები, მოაწყონ ტექნოქიმიური და მიკრობიოლოგიური კონტროლი ყურძნის გადამუშავების ყველა სტადიაში და ამით საიმედო საფუძველი ჩაუყარონ ღვინომასალის გამომუშავების გეგმის შესრულებას დაწესებული ასორტიმენტის მტკიცედ დაცვით.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს გადაუდებელი ამოცანა — ორ-სამ წელიწადში მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი მევენახეები და მეღვინეები. ახლა მათი ღირსებისა და სახელის საქმეა უდანაკარგოდ აიღონ და გადაამუშაონ ყურძნის მოსავალი. წელს ყველა პირობაა იმისათვის, რომ **მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდეს ყურძნის დამზადების 1953 წლის სახელმწიფო გეგმა.**

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა დარაზმონ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და სპეციალისტები ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის სასახელოდ შესრულებისათვის.

ყურძნის შერჩევითი კრეფა სამგრესჯის საბჭოთა მეურნეობებში

დაიწყო ყურძნის შერჩევითი კრეფა სამტრესტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში. 3 სექტემბერს გიაურ-არხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მოკრიფეს 5 ტონა ყურძენი, რომელიც იმავე დღეს გაიგზავნა მოსკოვში დედაქალაქის მშრომელებისათვის.

ამ დღეებში ყურძნის მასობრივი კრეფა დაიწყება დიმისა და ხირსის საბჭოთა მეურნეობებში. ყურძნის პირველი მოსავალი დიდი რაოდენობით გაიგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში, როსტოვში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

რთველი სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად გაჩაღდება 15 სექტემბრიდან.

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ჩაის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს ცნობებით, 1 სექტემბრისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 86,3 პროცენტით, აგვისტოსი წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით — 82,3 პროცენტით.

ცალკე საბჭოთა მეურნეობებში ჩაის კრეფის მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: გონიოს საბჭოთა მეურნეობას აგვისტოს დავალება წინა თვეების დანაკლისით შესრულებული ჰქონდა 98,8 პროცენტით, ხალიბაურის — 78,2, ჩაქვის — 64,1, ოჩხამურის — 89,1, ცეცხლაურის — 112,7, ახიგვარის — 82, სიდის — 100, მოქვის — 65,2, ნატანების — 103,3 ლაითურის — 68,7, ნარუჯის — 89,6 ნასაკირალის — 63, წულუკიძის — 100,2, დიდი ჭყონის — 61,7, ლესიჭინის — 101,2, ინგირის — 117, ონარიის — 135, ნარაზენის — 95,6, ზეცერის — 86,9, წალენჯიხის — 100,1, ხიბულის — 116,7, გეჯუთის — 125 პროცენტით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ გ. მ. მალენკოვს

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

მოსკოვი

იაპონიის მიმართ წინააღმდეგობის ომში გამარჯვების მე-8 წლისთავის გამო ჩინელი ხალხისა და ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სახელით მხურვალედ მივესალმებით საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს.

იაპონიის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ მძიმე ომის წლებში, ბრძოლაში, რომელმაც საბოლოო ანგარიშით გამოიწვია იაპონიის იმპერიალიზმის განადგურება, ჩინელი ხალხი იმთავითვე და ბოლომდე სარგებლობდა საბჭოთა ხალხის მხარდაჭერით და დახმარებით. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა 1945 წელს, როცა საბჭოთა შეიარაღებული ძალები ჩაებნენ ომში და ჩინელი ხალხის მხარდამხარ იბრძოდნენ. ამის შედეგად იაპონიის იმპერიალიზმი განადგურდა და უზრუნველყოფილ იქნა საბოლოო გამარჯვება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების მომენტიდან და ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებიდან ურღვევი მეგობრობა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მტკიცდებოდა და დღითიდღე კვლავ მტკიცდება და ვითარდება. ეს დიადი მეგობრობა ახლა გახდა შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მტკიცე გარანტია.

ჩვენ გვსურს აქ დავძინოთ, რომ ის ძმური დახმარება, რასაც საბჭოთა კავშირი ჩინელ ხალხს უწევს, დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია ჩინეთის ეკონომიკის სწრაფად აღდგენისა და გეგმიანი მშენებლობის გზით მისი განვითარების საქმეში.

კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების ამასწინანდელი ხელმოწერა უეჭველია ახალ დიდ მიღწევას წარმოადგენს მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ბანაკის იმ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა და ახალი ომის თავიდან აცილება. ამ დიდმა მიღწევამ ხელი შეუწყო მთლიანად საერთაშორისო დაძაბულობაში დასახულ შენელებას; ამავე დროს იგი ხელს შეუწყობს იაპონელი ხალხის ღონისძიებებს, რომელიც მოითხოვს ნორმალური ურთიერთობის დამყარებას შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რათა თავიდან აშორებულ იქნას იაპონიის იმპერიალისტური აგრესიის აღორძინება.

გაუმარჯოს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის სამარადისო თანამშრომლობას შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის სამართლიან საქმეში!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი.
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი.

1953 წლის 2 სექტემბერი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერს და ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის

ქალაქი პეკინი

ვულოცავთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას, ჩინეთის შეიარაღებულ ძალებსა და დიდ ჩინელ ხალხს იაპონიის მილიტარიზმზე გამარჯვების მე-8 წლისთავს.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა და მათ მოკავშირეთა თავდადებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს ეს გამარჯვება და შექმნეს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების შესაძლებლობა. რწმენას გამოვთქვამთ, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა დიდი კავშირი და ძმური მეგობრობა მომავალშიც იქნება შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საიმედო საფუძველი.

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დიად და ურღვევ მეგობრობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. მალენკოვი.
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მოლოტოვი.

1953 წლის 2 სექტემბერი.

ვიდრე მომხმარებლამდე მივიდოდეს

საგალანტერიო ნაწარმი

მაღაზიაში შემსვლელის უურადღებას აუცილებლად მიიქცევს ეს კუთხე. თითქოს მხატვარს მაღლიანი ფუნჯით მოეხატოს მისი კედლები, ისე მისდევენ ერთმანეთს ნაზი ვარდისფერი და წითელი, ლურჯი და ცისფერი, მწვანე და ყავისფერი, თეთრი და ხორცისფერი ნივთები. ეს კუთხე მაღაზიის საგალანტერიო განყოფილებაა, ხოლო ასეთ მიმზიდველ შთაბეჭდილებას მნახველზე ტოვებს კოხტად განლაგებული მრავალი სახეობა და ფერის, ზომისა და მოყვანილობის საგალანტერიო ნაკეთობა — ქალისა და ბავშვის, საოჯახო და სამგზავრო ჩანთები, საქაღალდეები, მოხმარებლებისა და მოზრდილთა პორტფელები, ჩემოდნები და სხვა დასახელებულების კიდევ მრავალი ნივთი.

ყოველთვის ბევრი მყიდველი ტრიალებს აქ. როგორც წესი, მათი დიდი ნაწილი ქალებია. ერთს პატარა გოგონა მოუყვანია და ვარდისფერ საბავშვო ჩანთას ატრიალებს ხელში, ზოგი ჩემოდანს ხინჯავს. განუწყვეტლივ გაისმის:

— მომაწოდეთ მოხმარების ჩანთა.

— ტყავის ლურჯი საქაღალდე არა გაქვთ?

— დიდი ხანია დაგეძებდი სწორედ ასეთს, — ამბობს ახალგაზრდა ქალი და თან გაბარებული ათვალიერებს ქალის თეთრ კოპწია ჩანთას.

— სადაურია?!

— თბილისური გახლავთ, — კმაყოფილებით უპასუხებს გამყიდველი.

— ასეთი ლამაზი! — უფრო მეტი ყურადღებით დაუწყო სინჯვა, გახსნა, დაკვირვებით ჩათვალიერა აბრეშუმის თეთრი სარჩული. კიდევ რამდენჯერმე გადაბრუნ-გადმოაბრუნა და ბოლოს კმაყოფილებით თქვა:

— კარგია!

მართლაც კარგია ეს ნივთები, რომლებსაც თბილისის საგალანტერიო ფაბრიკა ამზადებს. ფაბრიკა არც ისე დიდი ხნისაა, მაგრამ მის პროდუქციას უკვე საკმაოდ იცნობს მომხმარებელი.

ეს კოხტა და ლაზათიანი ნივთები მარტო თბილისელი ოსტატების შრომით როდია შექმნილი. მართლაც, რთულ გზას გადის აქ დამზადებული თვითეული ნივთი, სანამ მომხმარებლამდე მიაღწევდეს. მის შექმნაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ათობით საწარმო, რომლებიც ნედლეულითა და მახალებით ამარაგებენ ამ ფაბრიკას. ყოველ საბავშვო ჩანთაში, თუ პატარა ჩემოდანში ათასობით ადამიანის შრომაა ჩაქსოვილი.

— ჩვენს ფაბრიკას ბევრ საწარმოსთან აქვს ურთიერთობა, — ამბობს ფაბრიკის დირექტორი ვ. ჰაქსაშვილი, — რბილ ფერად ტყავს ბათუმის ტყავის ქარხანა გვაწვდის, საგალანტერიო ტყავისა და ლაქის შემცვლელებს — მოსკოვის საწარმოებიდან და ლენინგრადის ფაბრიკა „პროლეტარსკი ტრუდადან“ ვიღებთ, ფურნიტურით მოსკოვის ქარხანა „მოსშტამპი“ გვამარაგებს. ლითონისა და ტყავის ნაწარმს, ქსოვილებს ლენინგრადიდან, ორკოდან და პავლოვიდან გვიგზავნიან. ზოგ რამეს კი თბილისის მეზობელი ფაბრიკა-ქარხნები გვაწოდებენ.

დიდია იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ თბილისური გალანტერიის შექმნაში, მაგრამ მარტო ცნობილი ფაბრიკა-ქარხნებით როდი ამოიწურება მათი რიცხვი. ვინ იცის, რომელ ბრძმედში გამოდნა მოსწავლის პატარა ჩანთის ლითონის ხაკეტი, ჩვენი ქვეყნის რომელ ხაამქროში მოყვანილი ბამბისა თუ აბრეშუმისაგან არის მოქსოვილი სასარჩულე ქსოვილი.

მას შემდეგაც კი, რაც ნედლეული თბილისის ფაბრიკაში მოიყრის თავს, კიდევ მრავალი რთული ოპერაცია უნდა გაიაროს, ვიდრე მაღაზიის თაროებამდე მიაღწევდეს.

პირველად სამოდელო განყოფილებაში თეთრ ქაღალდზე იბადება ყოველი ნივთის ნიმუში. დიდხანს, მოთმინებით უტრიალებენ თვითეულ დეტალს ფაბრიკის ხაუკეთესო მოდელიორები გ. კუდერსკი და ა. გოშაძე, სანამ ახალი მოდელი გამზადდება.

...ტყავისა და ხალებავების სპეციფიკური ხუნი ტრიალებს ჰაერში, ეს ხაგამომჭრელო ხაამქროა. აქ იწყება პირველი ოპერაცია — ხასალის დაჭრა თარგებით. ხარკმელებთან ჩამწკრივებულ მაგიდებთან ბასრი დანებით შეიარაღებული ოსტატები სწრაფი, ზუსტი მოძრაობით ჭრიან ფერად რბილ ტყავს. იჭრება საქამრე ტყავი, სასარჩულე ქსოვილი. სპეციალურ მანქანებზე მკვეთი უალებების ხაშუალებით ჭრიან მუყაოს ჩემოდნებისა და უუთებისათვის.

გამოჭრილი მასალა კომპლექტდება და სასარაჯო და საგალანტერიო ხაამქროებში იგზავნება. აქ იწყება კერვა, გამოყვანა, ფურნიტურის მორგება და ყველა სხვა ოპერაცია. საგალანტერიო ხაამქროში დგას დანადგარი, რომლის ზემო ნაწილი ვეებერთელა უთოს მოგვაგონებს. იგი მართლაც უთოს მოვალეობას ახრულებს. აქ ლითონის სახიან ფირფიტებზე იწნეება ფაქიზი ტყავი, რომლის ზედაპირზე ათასგვარი ლამაზი ნახატი ჩნდება.

საგალანტერიო ხაამქროდან ნაწარმი მიაქვთ პატარა ოთახში, სადაც ფრჩვევანას ხაშუალებით ტყავის ზედაპირს თეთრი ლაქის თხელი ფენით ფარავენ. ამრობენ და ხაბოლოოდ გამზადებული პროდუქცია მზა ნაწარმის ხაწყობში გადადის. იქიდან კი მაღაზიების თაროებსა და ვიტრინებს მოევლინება.

ასეთი გზა უნდა გაიაროს თბილისის საგალანტერიო ფაბრიკის პროდუქციამ, ვიდრე მომხმარებლამდე მიაღწევდეს.

შ. ცირეკიძე.

ყურძნის შერჩევითი კრეფა სამგრესჯის საბჭოთა მეურნეობებში

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იქმნება მსუბუქი და კვების მრეწველობის ახალი საწარმოები. ახლად აგებული ფაბრიკა-ქარხნები ეწყობა ტექნიკის უკანასკნელი ხიტყვის მიხედვით. ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში შენდება შაქრის, ხაკონსერვო და კვების სხვა საწარმოები.

სწრაფი ტემპებით შენდება შაქრის დიდი ქარხანა გუანდუნის პროვინციაში. ეს შაქრის მრეწველობის მესამე დიდი სახელმწიფო საწარმოა, რომელიც ამ პროვინციაში აშენდა. დეკემბერში ახალი ქარხანა შაქრის გამოშვებას დაიწყებს.

სურათზე: ჩინელ ტექნიკოსთა ჯგუფი მსჯელობს შაქრის ქარხნის მშენებლობის ერთ-ერთ უბანზე სამუშაო გეგმის შესახებ.

ხინხუას საგენტოს ფოტო.

ქაღალდის კომბინატის მშენებლობა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში

პეკინი. (საკდესი) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა ქაღალდის მრეწველობის განვითარებას მოსახლეობის მზარდ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

გაზეთმა „გუნენჟიბაომ“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ამა წლის ივნისში ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის სუნძიანის პროვინციის ქალაქ ძიამუსში დაიწყო ახალი ქაღალდის კომბინატის მშენებლობა. ეს საწარმო მოწყობილი იქნება დიდი წარმადობის უახლესი ტიპის საბჭოთა მანქანებით. კომბინატი გამოუშვებს სულ სხვადასხვა ხარისხის დიდძალ ქაღალდს.

კომბინატის მშენებლობასთან ერთად შენდება მუშათა საცხოვრებელი სახლების კორპუსები, გაჰყავთ წყალსადენი, შენდება საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების საწარმოები. ძიამუსის ქაღალდის კომბინატის მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1957 წელს.

მშენებლობა კოლონეთში

ვარშავა, 2 სექტემბერი. (საკდესი). პოლონეთის პრესის საგენტოს ცნობით, ბელოსტოკის სავოევოდოში შენდება დიდი ბამბეულის ფაბრიკა.

დასახულია, რომ 1954 წლის პირველნახევარში ფაბრიკა პირველ პროდუქციას გამოუშვებს. ყველა შრომატევადი პროცესი ფაბრიკაში მექანიზებულ იქნება. საფაბრიკო კორპუსების შენებლობასთან ერთად შენდება სხვა შენობები დამხმარე ობიექტებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისათვის. დიდი ყურადღება ექცევა შრომის ჯანსაღი პირობებს უზრუნველყოფას. კერძოდ, აქ დაიდგმება სპეციალური მოწყობილობა ჰაერის გასაწმენდად და ტემპერატურის რეგულირებისათვის.

ვადამდე ასრულებენ ხუთწლიანი გეგმის დავალებებს

პრაღა (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტო იუწყება:

ჩეხოსლოვაკიის მშრომელები სულ ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. 29 ივლისს გაბარტოვის „გუსტავის“ შახტის კოლექტივმა სოკოლოვსკის ქვანახშირის აუზში პირველმა 100,26 პროცენტით შეასრულა ქვანახშირის ამოღების ხუთწლიანი გეგმა. წლის დამლევამდე მეშახტეები გეგმის გადამეტებით ამოიღებენ სულ ცოტა 386 ათას ტონა ქვანახშირს.

პრაღის ქარხანა „მოტორლეტის“ სამსხმელო საამქრომ ხუთწლიანი გეგმის დავალებანი შეასრულა 23 ივლისისათვის 107,32 პროცენტით.

ელექტროსადგურის „ძლევამოსილი თებერვლის“ მუშაკთა კოლექტივმა უკვე 10 ივლისს შეასრულა ელექტროენერგიის წარმოების ხუთწლიანი გეგმის დავალება. ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას იტყობინება აგრეთვე ოსტრავის ოლქის იან შვერმას სახელობის ელექტროსადგურის კოლექტივი.

ლიტვინოვის (ოსტის ოლქი) საფეიქრო ფაბრიკა „კორდის“ მუშამ მარიამ პილცოვამ ხუთწლედის დამდეგიდან უკვე შეასრულა 10 წლიური ნორმა. მარიამ პილცოვა წარმატებით იყენებს მოწინავე საბჭოთა ფეიქრების გამოცდილებას და ფაბრიკის სხვა მუშებს ასწავლის თავის შრომის მეთოდებს.

საყოფაცხოვრებო თემაზე

მომხმარებლის შენიშვნები

დედაქალაქის ცენტრში — რუსთაველის პროსპექტზეა თბილუნივერმაღის № 1 ფილიალი. მისი თაროები სავსეა ფართო ასორტიმენტის სამრეწველო საქონლით. აქ უხვად აქვთ: ფეხსაცმელი, ქსოვილები, სხვადასხვა საოჯახო ნივთები...

ფილიალის კოლექტივი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილების სანიმუშოდ დაკმაყოფილებისათვის. ფილიალმა (გამგე ი. ლორთქიფანიძე) მიმდინარე წლის შვიდი თვის საქონლებრუნვის გეგმა გადაჭარბებით გაანაღდა.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის მაგალითის მაჩვენებელია კომუნისტი მ. ველიაშვილი. იგი ათეული წელია უნივერმაღის სისტემაში მუშაობს. თავაზიანი, კულტურული მოპყრობით მან მომხმარებელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

საბჭოთა ვაჭრობის მუშაკის საპატიო მოვალეობას პირნათლად ასრულებენ აგრეთვე გამყიდველი ო. აღლაძე, ა. მინასიანი, ა. ზონენაშვილი და სხვ.

მაგრამ ფილიალში ყველაფერი რიგზე როდია. აი დახლთან მიდის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სტახანოველი მუშა ვ. სუხიშვილი.

— თუ შეიძლება, მოგვაწოდეთ რუხი ტილო!

— არა გვაქვს, — უპასუხებს გამყიდველი.

— ბავშვის ფეხსაცმელი № 29 თუ გაქვთ?

— არც ეგ არის, ველოდებით...

მომხმარებელმა უკმაყოფილოდ ახედ-დახედა თაროებს, რომლებზეც უმეტესად ზამთრისათვის საჭირო სამრეწველო საქონელია.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ზოგიერთი მუშაკი დაკისრებულ მოვალეობას ზერელედ ეკიდება. მაგალითად, გამყიდველ მ. არაქელოვას და ი. კრიხელს საქონელზე დადებული არ ჰქონდათ ფასის აღმნიშვნელი ქაღალდი. მათი განცხადებით ეს თითქოს წვრილმანია და გადაავიწყდათ.

სალაროსთან მომხმარებელთა რიგი გაჩნდა. როგორც გამოირკვა, სალაროები ძველი და მოუწყობელია, ცუდად მუშაობენ, რის გამოც მომხმარებლები დიდ დროს კარგავენ.

მომხმარებელთა მრავალი საინტერესო ჩანაწერია საჩივრის წიგნში. მაგრამ ადმინისტრაციის წარმომადგენლები საქმიანი შენიშვნებიდან ყოველთვის საჭირო დასკვნებს არ აკეთებენ, სხვადასხვა „ობიექტური“ მიზეზით იმართლებენ თავს.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ა. ინწკირველი) მართალია დახლის მუშაკთა მორის აწყობს მოხსენებებს, ექსკურსიებს, მაგრამ საგიტაციო-აღმზრდელობით მუშობაში ჯერ კიდევ სერიოზული ჩამორჩენაა. ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას. იშვიათად გამოდის კედლის გაზეთი (რედაქტორი ს. მურადოვი) — 1 მაისის შემდეგ ახალი ნომერი არ გამოუციათ. გაზეთში გამოქვეყნებული წერილები ერთფეროვანია.

ზოგიერთი გამყიდველი (არუთინოვი, ხარაბაძე) გეგმას ვერ ასრულებს, პარტიული ორგანიზაცია კი ქმედითად არ ეხმარება მათ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შრომის დისციპლინა ფილიალში არც თუ საყურადღებოა. გამყიდველმა ვ. მეკოკიშვილმა სამუშაოზე რამდენჯერმე დაიგვიანა. ზოგიერთ სექციაში დაცული არ არის სისუფთავე, წესრიგი.

მომხმარებელთა კანონიერ უკმაყოფილებას იწვევენ ფილიალის დარბაზში მოთავსებულ სპეკულანტები.

— ნუთუ ვერ ამჩნევენ მათ?! — ამბობენ მომხმარებლები.

დირექცია და მილიცია, პროკურატურის ორგანოები რატომღაც გადამჭრელ ზომებს არ იღებენ სპეკულანტების წინააღმდეგ.

თბილუნივერმაღის № 1 ფილიალის დირექციამ, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მაღაზიის კოლექტივმა პირნათლად შეასრულოს მეტად კეთილშობილური მოვალეობა — კულტურულად მოემსახუროს მომხმარებელს.

ა. გოცირიძე,
ზ. ნოდია.

სამკერვალო ნაწარმი შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის

მსუბუქი მრეწველობის სამკერვალო საწარმოები შეუდგნენ შემოდგომა-ზამთრის ასორტიმენტის ნაწარმის შეკერვას. სეზონისათვის მომზადებულია მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ტანსაცმლის 2.500-ზე მეტი მოდელი.

სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო მრეწველობის მთავარ სამმართველოში საკდესის კორესპონდენტს აცნობეს:

— სამკერვალო მრეწველობა წელს გამოუშვებს ორჯერ მეტ პალტოს და ერთნახევარჯერ მეტ კოსტიუმს, ვიდრე ომამდელ, 1940 წელს. წლის მეორე ნახევარში მატულობს მაღალხარისხოვანი შალისა და აბრეშუმის ქსოვილებისაგან შეკერილი ნაწარმის გამოშვება.

სამკერვალო მრეწველობა ემზადება საწარმოო სიმძლავრეთა შემდგომი გადიდებისათვის. ახლა მიმდინარეობს მთელი რიგი ფაბრიკების რეკონსტრუქცია და გაფართოება. უახლოეს წლებში აშენდება რამდენიმე ათეული დიდი სამკერვალო საწარმო — დმიტროვში (მოსკოვის ოლქი), კალინინში, ველიკიე ლუკში, ამურის კომსომოლსკსა და სხვა ქალაქებში.

მრეწველობა აღიჭურვება მაღალი წარმადობის მოწყობილობით. 1953 წელს საწარმოები მიიღებენ სამი ათასზე მეტ ღილის კილოს, ღილისა და სხვა სპეციალურ მანქანას, დაახლოებით სამი ათას წნეხს ნაწარმთა დასაუთოებლად და დიდძალ სწრაფ უნივერსალურ მანქანებს. ახალი მოწყობილობა მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს მუშა ქალთა შრომას, ხელს შეუწყობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და შეკერილი ნაწარმის გამოშვების გაფართოებას. (საკდესი).

მოსკოვი

საკუთარი კორესპონდენტისაგან

რესტორანი „პეკინი“

როცა მოსკოვის გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მოწყობილი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოფენა, პარკის რესტორანი „სპორტი“ გადაკეთდა რესტორან „პეკინად“ ჩინური ეროვნული სამზარეულოთი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც მოსკოველებში, ისე დედაქალაქის სტუმრებს შორის.

ამასთან დაკავშირებით იმავე შენობაში გაიხსნა „მოსტრესტორანტრესტის“ მუდმივი რესტორანი „პეკინი“.

მოსკოვის მცხოვრებნი და დედაქალაქის სტუმრები დიდი ხალისით მიდიან რესტორან „პეკინში“, სადაც მაღალკვალიფიციურ პეკინელ ოსტატ-კულინართა ხელმძღვანელობით ფართო ასორტიმენტით მზადდება ჩინური კერძები. აქ შეიძლება შეუკვეთოთ შემწვარი ქათამი ყავისფერი სოუსით, პეკინური იხვი და სხვ. რესტორანში ფართო ასორტიმენტით აქვთ საუკეთესო ჩინური ღვინოები და კონიაკები.

ახალი კონსერვები

საკონსერვო მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მოსკოვის საცდელ სასელექციო სადგურს აქვს საექსპერიმენტო საკონსერვო ქარხანა. ეს ქარხანა აწარმოებს ახალი მოსავლის ბოსტნეულის გადამუშავებას და ამასთანავე ითვისებს ახალი სახის კონსერვების წარმოებას. მაგალითად, ქარხანამ დაიწყო ყვავილოვანი კომბოსტოს კონსერვების გამოშვება ტომატითა და თეთრი სოუსით.

სადგურის მეცნიერმა მუშაკმა სელექციონერმა ა. კლიმოვამ გამოიყვანა ყვავილოვანი კომბოსტოს ახალი შესანიშნავი ჯიშები „მოსკოვის საკონსერვო“ და „სამამულო“, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი მოსავლიანობით და კარგი გემოთი.

ქარქანა უკვე ამ კომბოსტოს კონსერვებს უშვებს.

სასპორტო საქონელი

ძალიან ბევრი მოსკოველი გატაცებულია ზამთრის სხვადასხვა სახის სპორტით. და თუმცა ჯერ კიდევ ზაფხულია, დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ ზამთრის სეზონისათვის მზადებას — საზამთრო სასპორტო საქონლით ვაჭრობის ფართოდ გაშლას. „მოსკულტტორგმა“ თავის 18 მაღაზიაში 1 სექტემბრიდან დაიწყო საზამთრო სასპორტო ინვენტარის გაყიდვა.

„მოსკულტტორგის“ ბაზაში უკვე მიღებულია სამი ათასი წყვილი თხილამური. მყიდველთა მოთხოვნილებებისა და სურვილების გათვალისწინებით „მოსკულტტორგის“ მაღაზიები გაჭყიდიან ფეხსაცმელზე მიმაგრებულ ციგურებს. გარდა ამისა, მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს შეუძლიათ „მოსკულტტორგის“ მაღაზიებში შეიძინონ ისეთი ნივთებიც, როგორიც არის ფიგურული, სასპორტო, საბავშვო ციგურები, სათხილამურო კოსტიუმები, ბურთები და სხვა სასპორტო საქონელი.

გემი „ვიაჩესლავ შიშკოვი“

გემების პირდაპირი მიმოსვლა მოსკოვიდან დონის როსტოვამდე და დონის როსტოვიდან მოსკოვამდე უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ბევრმა მოსკოველმა (და არა მარტო მოსკოველმა) იმგზავრა ამ მომხიბლავი სანაოსნო გზით. ამავე გზით გადაზიდულია უამრავი სხვადასხვა ტვირთი.

ამას წინათ მოსკოვში დონის როსტოვიდან მოვიდა ახალი სამგზავრო ორსართულიანი გემი „ვიაჩესლავ შიშკოვი“, რომელიც განკუთვნილია ლენინის ორდენოსანი კამის სამდინარო სანაოსნოსათვის. გემი „ვიაჩესლავ შიშკოვი“ იმოუსვამს მდინარე კამაზე. ზემო სართულის მოხერხებული კაიუტები, გემის კორპუსის საოთახეები — სალონები, ვესტიბიულები, კორიდორები და სხვ. მოპირკეთებულია გალაქული ხით, აგრეთვე შემკულია სხვადასხვა ინკრუსტაციებით.

ტელევიზორების შესყიდვა

ჩვენი მრეწველობა ყოველთვიურად სულ უფრო მეტ ტ-2 და კვნ-49-4 ტელევიზორებს უშვებს. ეს შესანიშნავი აპარატები სულ უფრო მეტი ჩნდება მოსკოველთა და მოსკოვის მდგამოების მცხოვრებთა ბინებში.

ტელევიზორები მტკიცედ შედის მოსკოველთა ყოფა-ცხოვრებაში. ამის მკაფიო მაჩვენებელია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მარტო მიმდინარე წლის 7,5 თვის განმავლობაში დედაქალაქის მაღაზიებმა რამდენიმე ათეული ათასი ტელევიზორი გაყიდეს.

„ზიმ-12“ მანქანები

დედაქალაქში იყიდება მსუბუქი ავტომანქანა „ზიმ-12“. ეს უახლესი კომფორტაბელური მანქანები იყიდება „გლავმაშსბიტის“ მოსკოვის საოლქო კანტორის სპეციალიზებულ მაღაზიაში.

ქალთა მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

ლენინგრადი, 3 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გათამაშდა საბჭოთა მოჭადრაკეების ლიუდმილა რუდენკოსა და ელისაბედ ბიკოვას შორის ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩის მეშვიდე პარტია.

შეწყვეტილ მდგომარეობაში მოსკოველ მოთამაშეს ჰქონდა პოზიციური უპირატესობა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი მეტად მტკიცედ და ზუსტად იცავდა თავს. პარტია თითქოს ყაიმით უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ ბრძოლა კვლავ გართულდა მას შემდეგ, რაც რუდენკომ დაუშვა შავი მეფის გაჭრა ლაზერის ფლანგზე. ბიკოვამ მხედრები გაცვალა და პაიკი მოიგო.

87-ე სვლაზე რუდენკომ, რაკი შავების პაიკების შეკავება ვერ შეძლო, თავი დამარცხებულად აღიარა.

ამრიგად დამთავრდა მატჩის პირველი ნახევარი. წინ არის ელისაბედ ბიკოვა. მატჩის ანგარიშია 4,5:2,5 მოსკოველი მოჭადრაკის სასარგებლოდ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სწავლება

ვანი. პარტიის ვანის რაიკომმა მიმდინარე წლის ივლისიდან მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების და მდივნის მოადგილეების ზონალური სემინარები სოფლებში ქვედა ვანში, შუამთასა და ზეინდარში.

სემინარების მსმენელებმა მოისმინეს ლექციები შემდეგ თემებზე: „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება“, „სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში“, „პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს სხდომისა და პარტიული კრების მომზადება-ჩატარების პრაქტიკა“.

სემინარების მუშაობას ხელმძღვანელობდნენ პარტიის რაიკომის მდივნები და განყოფილებათა გამგეები.

მესტია. მოეწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ორდღიანი სემინარი. სემინარზე წაკითხულ იქნა ლექციები შინაპარტიული მუშაობის საკითხებზე, მათ შორის თემებზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება“, „კრიტიკისა და თვითკრიტიკის შესახებ“, „საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია სოციალისტური შეჯიბრების სათავეში“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება“ და სხვ.

ხალხთა მეგობრობა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია

საბჭოთა კავშირი დიად მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოს წარმოადგენს. სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში 60-ზე მეტი ერი და ეროვნება შედის. კომუნისტური იდეალები აერთიანებს საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელს დამოუკიდებლად მათი რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილებისა. საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალის — კომუნისტური პარტიის პოლიტიკაში ისინი ხედავენ თავიანთი სასიცოცხლო ინტერესების განსახიერებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება. ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის იდეები თავიანთ თანმიმდევრულ გამოხატულებას პოულობენ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაშიც, ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის პოლიტიკაში, დემოკრატიული ბანაკის განმტკიცებაში, ყველა ქვეყნის მშრომელებთან ჩვენი ქვეყნის მშრომელების ძმური კავშირის განმტკიცებაში.

ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულმა ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიამ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა. მსოფლიოს ჩაგრული ხალხები მასში ხედავენ თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისათვის თავიანთი ბრძოლის მძლავრ სულიერ იარაღს.

ხალხთა მეგობრობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების განსახიერებაა

მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს ხალხთა მშვიდობიან თანამშრომლობასა და ძმობას. ხალხები დაინტერესებული არ არიან სხვა ხალხების დაკაბალებითა და გაძარცვით, ერთა შორის შუღლის გაღვივებით. ამით დაინტერესებულია ბურჟუაზია, რომელიც გატაცებულია მაქსიმალური მოგების მიღებით და მზად არის ჩაიდინოს კაცობრიობის წინაშე ყოველგვარი დანაშაული თვით სისხლისმღვრელი დამპყრობლური ომების მოწყობამდე, რომლებსაც უდიდესი უბედურება მოაქვთ მშრომელთათვის.

ეროვნულ ურთიერთობაში კაპიტალისტურ საზოგადოებაში ამ საზოგადოების ძირითადი კლასების შესაბამისად იბრძვის ორი იდეოლოგია—პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და ბურჟუაზიული ნაციონალიზმი. მაშინ როცა პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ამკვიდრებს სხვადასხვა ერის მშრომელთა ინტერესების ერთიანობასა და განუყოფლობას, ავითარებს მათ შორის ურთიერთნდობას და ერთსულოვან, შეთანხმებულ ბრძოლას მათი განთავისუფლებისათვის ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან, კომუნიზმისათვის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმი ამართლებს და ასაბუთებს ეროვნულ ჩაგვრასა და არათანასწორუფლებიანობას, აღვივებს შუღლს ერთა შორის, რითაც ცდილობს დაქსაქსოს მშრომელთა ძალები და მუდმივი გახადოს ეროვნული ჩაგვრის სისტემა.

ბრძოლა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმსა და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს შორის საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაში ახალ ფორმებს იღებს და ყოველთვის დამაჯერებლად ცხადყოფს ერთი მხრივ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პროგრესულობასა და მძლავრ ცხოველმყოფელ ძალას და მეორე მხრივ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეაქციულობას, რომელიც თანამედროვე ეპოქაში ყოვლად საზიზღარ ფორმებს იღებს.

ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში უდგანან ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური პარტიები, სავსებით გაკოტრდა ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში. წინათ არსებულ და ახლანდელ ბურჟუაზიულ მრავალეროვან სახელმწიფოთა ისტორია არის ისტორია მათი გარდუვალი დაშლისა კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების გამო, ეროვნებათა შორის მტრობის გამო, რომელსაც ბურჟუაზიული ნაციონალისტები აღვივებენ ჩაგრულ ხალხებსა და მჩაგვრელ ერს შორის ანტაგონიზმის ზრდის გამო. ეროვნული დისკრიმინაციისა და ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკა ბურჟუაზიული სახელმწიფოს **სისუსტის** წყაროა.

სულ სხვა სურათია მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოში, რომელიც ანორციელებს ხალხთა თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა, რომელმაც უკვე ცხადყო სსრ კავშირის მაგალითით თავისი ცხოველმყოფლობა და პროგრესულობა, წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს **ძლიერების** წყაროს, კომუნიზმის წარმატებითი მშენებლობის საწინდარს.

სსრ კავშირი ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის ნიმუშია

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი, კომუნისტური პარტიის მიერ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილნი, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე ერთსულოვან, ერთიანი ოჯახად იბრძოდნენ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. კომუნისტური პარტია გამოვიდა როგორც საერთო-რუსეთის პარტია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ქვეყნის ყველა ეროვნების მოწინავე წარმომადგენლებს.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ერთიან რევოლუციურ ოჯახად გაერთიანებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა რუსეთის მუშათა კლასმა, შეასრულეს რევოლუციური მარქსიზმის იდეებმა. მეფის რუსეთის ჩაგრული ხალხები თავიანთი განთავისუფლებისათვის ბრძოლის მსვლელობაში დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ მუშათა კლასს თავისი კომუნისტური ავანგარდის მეთაურობით შეჰქონდა მათთვის განთავისუფლება ეროვნული ჩაგვრისაგან, რომ მხოლოდ მუშათა კლასის გამარჯვებით მიიღებდნენ ისინი თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას, თავიანთი ეროვნული სახელმწიფოებრიობის, მეურნეობის, კულტურის განვითარების შესაძლებლობას.

და მართლაც, ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — სოციალიზმის ერას, არა მარტო გაათავისუფლა წინათ ჩაგრული ხალხები, არამედ კიდევაც გაუხსნა მათ სამეურნეო და კულტურული აყვავებისათვის ბრძოლის სწორი გზა. ლენინისა და სტალინის ხელმოწერით გამოქვეყნებულმა ისტორიულმა დეკლარაციამ — „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციამ“ გამოაცხადა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა სრული თანასწორუფლებიანობა და მოუწოდა მათ ერთიანობისაკენ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელობით, ძველი სამყაროს მთელ ძალებთან სასტიკ ბრძოლებში ჩვენი ქვეყნის ხალხებმა საბჭოების დროშით მოიპოვეს ეროვნული განვითარების უფლება. ერთობლივი ბრძოლა ერთიანი მიზნებისათვის, საერთო მტრის — საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ სულ უფრო მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან ჩვენი ქვეყნის ხალხებს. სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის ეპოქაში მათ განამტკიცეს თავიანთი ინტერესების ერთიანობა სამხედრო-პოლიტიკური კავშირით, რამაც გამოიწვია გამარჯვება ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებზე, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ კონტრრევოლუციაზე.

ამ ვითარებაში კომუნისტურ პარტიას ეროვნულ რაიონებში არა მარტო უნდა ემხილებინა ბურჟუაზიული ნაციონალისტების გამცემლური როლი, არამედ პრაქტიკაშიც უნდა ეჩვენებინა, რომ საბჭოთა ხელისუფლება პატივს სცემს ყოველი ხალხის ეროვნულ სუვერენიტეტს, ეხმარება მას ჩამოაყალიბოს თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა თანმიმდევრულ დემოკრატიულ საფუძვლებზე. ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა იყო ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, დიადი ნიშანსვეტი ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა და დამკვიდრების საქმეში.

მაგრამ ხალხთა პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა, რაც ოქტომბერმა გამოაცხადა, მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო სსრ კავშირში ეროვნული საკითხის გადაჭრის გზაზე. საჭირო იყო ალმოგვეფხვრა ბევრი წინათ ჩაგრული ხალხის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობა, რომ მიგვეღწია ფაქტიური თანასწორობისათვის. პარტიამ დაისახა ამოცანები: შეექმნა ეროვნულ განაპირა მხარეებში თანამედროვე მრეწველობის კერები; ჩაება ჩამორჩენილი ხალხები და ეროვნებანი მეურნეობის უმაღლეს ფორმებში; მოეგვარებინა სამეურნეო თანამშრომლობა ჩამორჩენილ და მოწინავე ეროვნებათა მშრომელებს შორის; წინ წაეწია ჩამორჩენილ ერთა და ეროვნებათა კულტურა; ჩამოეყალიბებინა მუშათა კლასი და სახალხო ინტელიგენცია მკვიდრი მოსახლეობიდან. სწორედ ამ ამოცანების განხორციელება ნიშნავდა სსრ კავშირში ეროვნული საკითხის გადაჭრას და, მაშასადამე, ხალხთა მეგობრობის შექმნას.

ხალხთა მეგობრობა ჩვენს ქვეყანაში განუზომლად განმტკიცდა და მას მტკიცე საძირკველი ჩაეყარა წარმოების სოციალისტური წესის დამკვიდრების მეოხებით. სოციალისტური ეკონომიკა გახდა წინათ ჩაგრულ ხალხთა სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის, მათი ურთიერთნდობისა და მეგობრობის დამკვიდრების საფუძველი. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დიადმა პროცესმა მოიცვა ყველა საბჭოთა რესპუბლიკა და ძირეულად გარდაქმნა ისინი. საბჭოთა სახელმწიფომ შექმნა ერთიანი სოციალისტური მეურნეობა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის შრომის სწორი განაწილებით, მათი მრავალმხრივი ურთიერთდახმარებით, მეურნეობა, რომელიც ჰარმონიულად ვითარდება. ამასთან ეკონომიურად და კულტურულად ყველაზე ჩამორჩენილი ხალხები სოციალისტური სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდნენ.

ეროვნულ რესპუბლიკებში შეიქმნა ახალი ფაბრიკები, ქარხნები, გაყვანილ იქნა ახალი რკინიგზები, არხები, აშენდა ახალი ქალაქები. კოლექტიურ რელსებზე გადასული სოფლის მეურნეობა გაძლიერებულად მარაგდებოდა მსხვილი სამანქანო ტექნიკით. უდიდესი გაქანება მიიღო კულტურულმა მშენებლობამ: ახალი სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო დაწესებულებების, თეატრების, საავადმყოფოების და სხვ. შექმნამ. ჩვენს ქვეყანაში დიად სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა განხორციელებით განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი იმ უდიდესმა დახმარებამ, რომელიც დიდმა რუსმა ხალხმა გაუწია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს.

კომუნისტების პარტიამ უდიდეს შედეგებს მიაღწია სსრ კავშირში ეროვნული საკითხის გადაჭრაში, ხალხთა მეგობრობის დამკვიდრებაში იმიტომ, რომ იგი კი არ უგულებელყოფდა ეროვნულ განსხვავებასა და თავისებურებას, არამედ ყოველმხრივ ითვალისწინებდა მათ თავის ხელმძღვანელ მოღვაწეობაში. მაშინ როცა ბურჟუაზიული ნაციონალისტები სპეკულაციას ეწევიან ეროვნული თავისებურებებით, აზვიადებენ ეროვნულ სპეციფიკას, პირველ პლანზე აყენებენ იმას, რასაც შეუძლია გათიშოს ერთი ერი მეორისაგან, კომუნისტური პარტია ითვალისწინებს და იყენებს ეროვნულ თავისებურებებს ერების გაერთიანებისათვის და არა მათი გათიშვისათვის.

მშობლიური ენის ყოველმხრივ განვითარებამ, მშობლიურ ენაზე დამწერლობისა და სკოლების განვითარებამ, ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების გადასვლამ მკვიდრი მოსახლეობის ენაზე, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შექმნამ და განვითარებამ, მკვიდრი მოსახლეობიდან მუშათა კლასისა და საბჭოთა სახალხო ინტელიგენციის ჩამოყალიბებამ — ყოველივე ამან ხელი შეუწყო სსრ კავშირის ყველა ხალხის ჩაბმას სოციალისტური მშენებლობის დიად საქმეში. ყოველი ღონისძიებით ავითარებს რა ეროვნულ კულტურათა სოციალისტურ, ინტერნაციონალისტურ შინაარსს, პარტია სულ უფრო ფართოდ ზრდის მასებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთე-

პრესის მიმოხილვა

„ტყვარჩელის მაღაროელი“ უკეთ უნდა მუშაობდეს

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის კოლექტივი უკვე მესამე წელია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. ტყვარჩელი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მზარდი ინდუსტრიული ცენტრია. მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკაში.

აქედან გასაგებია, თუ რა დიდი ამოცანები დგას საქალაქო გაზეთის „ტყვარჩელის მაღაროელის“ წინაშე.

„ტყვარჩელის მაღაროელმა“ ტრესტის საწარმოთა საქმიანობას მრავალი კორესპონდენცია, კრიტიკული წერილი და ინფორმაცია მიუძღვნა. მაგრამ გაზეთის მიერ ამ მხრივ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ უპასუხებს მას წინაშე მდგომ მთავარ ამოცანებს. „ტყვარჩელის მაღაროელი“ არასაკმაოდ ბეჭდავს ისეთ მასალებს, რომლებითაც დაეხმარებოდა მეშახტეებს შრომის მოწინავე მეთოდების ათვისებაში, წარმოებაში მოწინავე მნგრეველთა, გამყვანთა, მებიგეთა და სხვა პროფესიის მუშათა გამოცდილების დანერგვაში. საგულისხმოა, რომ უკანასკნელი ხუთი თვის მანძილზე გამოსულ 60 ნომერში ქვანახშირის მრეწველობის საკითხებზე დაიბეჭდა მხოლოდ 8 მოწინავე სტატია. აქედან გაზეთი მხოლოდ ერთ მოწინავე სტატიაში („ფართო გზა მოწინავე გამოცდილებას“) შედარებით ვრცლად შეჩერდა შახტებში ციკლური გრაფიკის ფართო დანერგვაზე. გაზეთში იშვიათად შეხვდებით წარჩინებული მნგრეველების, გამყვანების, მებიგეების, ცალის უფროსების წერილებს, რომლებშიც ისინი მეშახტეთა ფართო მასებს გააცნობდნენ მუშაობის თავიანთ გამოცდილებას, იმას თუ როგორ აღწევენ გამომუშაებებს მაღალ ნორმებს, როგორ იყენებენ ახალ ტექნიკას. სარეცენზიო ნომრებიდან მხოლოდ ერთში, 27 მაისს, გვხვდება რუბრიკა „მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა“, სადაც დაბეჭდილია № 3 შახტის გამყვანთა ბრიგადირის ლ. ბოგატინის წერილი იმაზე, თუ როგორ იბრძვიან ბრიგადაში თვითეული მუშის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და რა შრომითს წარმატებებს აღწევენ ამით ბრიგადის წევრები.

მიმდინარე წლის 10 ივნისს პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტმა სპეციალურად იმსჯელა გაზეთ „ტყვარჩელის მაღაროელის“ მუშაობის შესახებ. საქალაქო კომიტეტმა აღნიშნა, რომ გაზეთი არადამაკმაყოფილებლად აშუქებს მოწინავე მუშათა გამოცდილებას. საფიქრებელი იყო, რომ რედაქცია ამის შემდეგ მაინც გააუმჯობესებდა მუშაობას. მაგრამ ამ საქმეს ვერც პარტიის საქალაქო კომიტეტს გადაწყვეტილებამ უშველა.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ გაზეთს არ ესმის თავისი ძირითადი ამოცანები. პრესის დღისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში, „ტყვარჩელის მაღაროელი“ წერდა, რომ

„საქალაქო გაზეთის პირდაპირი მოვალეობაა მჭიდრო კავშირი ავტორთა ფართო მასებთან. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს გაზეთის აქტიურ მონაწილეობას ინდუსტრიული ტყვარჩელის მშრომელთა წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში“.

მაგრამ როგორც პარტიის საქალაქო კომიტეტი თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა უკანასკნელ ხანს რედაქცია არავითარ მუშაობას არ ეწევა ავტორთა აქტივთან, კორესპონდენტებთან, ძირეულა პრესის მუშაკებთან. მიმდინარე წელს რედაქციას არ მოუწევია კორესპონდენტთა არც ერთი სინსტრუქტაჟი თათბირი, არ ჩაუტარებია არც ერთი საუბარი ავტორთა აქტივთან, ძირეული პრესის მუშაკებთან. მოკლედ, ამ მიმართულებით მუშაობა რედაქციაში ჩაშლილია. რედაქციას აქვს ავტორთა აქტივის ვრცელი სია, რომელშიც 100-ზე მეტი კაცი ირიცხება. მაგრამ მათგან ძალიან ცოტანი იღებენ მონაწილეობას გაზეთის მუშაობაში. გაზეთის ფურცლები უმთავრესად ივსება რედაქციის მუშაკთა წერილებით. ეს, ცხადია, საგრძნობლად მოქმედებს გაზეთის ხარისხზე, უფერულსა და არასაინტერესოს ხდის მას.

გაზეთ „ტყვარჩელის მაღაროელში“ ვერ ნახავთ თემატიკურ გვერდებს, სპეციალურ განყოფილებებს ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიც არის მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის ბრძოლის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის მოწინავე მეთოდებისა და სტახანოველთა გამოცდილების დანერგვის და სხვა საკითხ

მარმარილოს მთა

ეს მოხდა 1926 წელს. ქართველ ალპინისტთა ...ფუი ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ...ლაშქრობას ახდენდა კავკასიონის მთავარი ქე...ის სამხრეთ კალთებზე, მდინარე ლოპოტას ...ათვალებში, და აქ, ზღვის დონიდან 1.760 მეტრ ...სიმაღლეზე, ალპინისტებმა აღმოაჩინეს მაღალი ...ხარისხის მარმარილოს საბადო. 1927 წელს ლო...ტას სათავეებში გაიგზავნა სპეციალური ექს...დიცია ინჟინერ-გეოლოგ კომპანიონის ხელ...ძღვანელობით. დადგენილ იქნა საუკეთესო ...მარმარილოს დიდი მარაგი. მეორე წელსვე მარ...მარილოს საბადომდე გაიყვანეს სამარხილე გზა ...და დაიწყო საბადოს ექსპლოატაცია.

საქართველოში მარ...მარილოს რამდენიმე ...საბადოა (შროშა, სალი...თი, დიზი და სხვ.). ...მაგრამ თავისი ხარის...ათა და მარაგით ყვე...ლაზე მნიშვნელოვანია ...ლოპოტის მარმარილო.

მდინარე ლოპოტა იქ...ნება საკუთრივ ლოპო...ტასა და მისი შემდინა...ვების — მუხატიბგო...ნას, ვაკისგორისწყლისა ...და სასანთლისწყლის ...ნეერთებით. ამ მდინა...ვებს შუა ზღვის დო...ნიდან 1.700-1.800 მეტრ ...სიმაღლეზე მარმარი...ლის ხუთი მთაა: წო...ნისგორა, ნაკორგალა, ...ალეგორი, წვრილა გო...ა და დიდხეკი, თუმცა ...მარმარილოს დამშავე...ბა ჯერჯერობით წო...ნისგორას მასივზე ხდე...ა. აქ არის ღია თეთრი ...და მუქი ნაცრისფერი ...მარმარილო, რომლის...გულსაც დამახასიათებე...ლია წვრილმარცვლო...ვანება და დეკორაციუ...ლობა.

ლოპოტის მარმარი...ლი ალიარებულია ერთ...ერთ საუკეთესოდ მთელ ...საბჭოთა კავშირში და ...ეი დიდი რაოდენობით ...გზავნება მოსკოვის, ...ლენინგრადის, თბილი...სის, კიევის, ხარკოვის ...და მშენებლობებზე. ...ლოპოტის მარმარილო...ი მოპირკეთებულია ...მოსკოვის მეტროს სად...ური „ოხოტნი რიადის“ ...ბგენითა კედლები.

უკანასკნელ წლებში დიდად გაიზარდა მო...ხმარებელი ლოპოტის მარმარილოზე. ამიტომ ...მარიერებამდე გაიყვანეს ავტომანქანის გზა, მო...ბდენეს სამუშაოთა მექანიზაცია. მარმარილოს ...ლოკები იბურღება კომპრესორის საშუალე...ბით, ხოლო მათი ავტომანქანებზე დატვირთვა ...ხდება ავტომაშენებითა და ავტომტვირთავებით. ...ზის გაყვანამ და სამუშაოთა მექანიზაციამ ფი...ად გააადვილა საბადოს ექსპლოატაცია. საკ...მარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ლო...პოტის მარმარილოს საბადო ჩვენს სამშობლოს მისცემს 800 კუბმეტრ მაღალხარისხოვან მარ...მარილოს (ფხვნილი მარმარილოს გარდა).

კარიერზე მომუშავეთათვის გაშენებულია საცხოვრებელი ბინები, მთავრდება საავადმყოფოს აგება. მომდინარე წელს გათვალისწინებულია კლუბის, პურის საცხობის, მაღაზიისა და ბანის მშენებლობა.

მარმარილოს კარიერებზე ადიზარდნენ შესანიშნავი ოსტატები, რომლებიც უნაკლოდ ფლობენ მარმარილოს ზოდების გამოჭრას. ასეთები არიან სტახანოველები ბორის ჩაბაკური, ტარასი ელოშვილი, გიორგი კირვალიძე, მაჰმედ-ალი დაუდოვი, არტემ ვრიგორიანი.

ლოპოტის მარმარილოს მუშაკები თავდადებით შრომობენ შორეული მთის ხეობაში იმ ფიქრით, რომ მათ მიერ მოპოვებული მარმარილოთი დაამშვენონ ჩვენი დიადი სამშობლოს ქალაქების საუკეთესო ნაგებობანი.

ბრ. ზარდალიშვილი,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

ლოპოტის თეთრი მარმარილო ერთ-ერთი საუკეთესოა საბჭოთა კავშირში. კარიერების კოლექტივმა წარმატებით შეასრულა წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმა და ახლა იბრძვის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. **სურათზე:** მარმარილოს ბლოკების დამუშავება № 5 კარიერში. წინა პლანზე ქვის მთელი გ. კირვალიძე, რომელიც მარმარილოს მოპოვების დღიურ ნორმებს 150-160 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

★

წყალტუბო

მეშახტეთა სანატორიუმში

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს წყალტუბოს სანატორიუმი კურორტის მშენებაა. სანატორიუმს აქვს სანიმუშოდ მოწყობილი 300 ოთახი, სახადილო, სამკითხველო, საკონცერტო დარბაზი, კინოდანადგარი, საბილიარდო, ლიფტი და სხვ.

1952 წლის ნოემბრიდან დღემდე სანატორიუმი 3.300 დამსვენებელს მოემსახურა. აქ ყოველთვიურად ისვენებს ჩვენი ქვეყნის ასობით სახელოვანი მეშახტე და შახტმშენებელი. ივლის-აგვისტოში წყალტუბოში „მკურნალეს „სტალინუგოლის“ ცნობილმა მეშახტეებმა ძმებმა ნიკოლოზ და ნიკიტა რულევებმა, „მოლოტოვუგოლის“ მბურღავმა მიხეილ პეშკოვმა, კიროვოგრადის ოლქის ქალაქ ალექსანდრიის ახალგაზრდა მეშახტემ ნატალია ტუპრენკომ და სხვ.

ახალი სანატორიუმის მშენებლობა

დეკემბერში საექსპლოატაციოდ გადაეცემა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს წყალტუბოს ხუთსართულიანი სანატორიუმი, რომელიც 200 საწოლისათვის არის გათვალისწინებული. პირველ სართულზე მოეწყობა დამსვენებელთა მიღება; აქვე იქნება ადმინისტრაციული და სამკურნალო კაბინეტები. ზედა ოთხ სართულზე განლაგებულია რკინიგზელ დამსვენებელთა თითო და ორსაწოლიანი ოთახები და 8 ლუქსი. თვითეულ სართულს ექნება ცალკე სახადილო, საკონცერტო დარბაზი, სამკითხველო, დასასვენებელი ოთახები და საბილიარდო. ავადმყოფთა უკეთ მომსახურებისათვის სანატორიუმს ექნება ლიფტი.

გზების კეთილმოწყობა, გამწვანება.

მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს კურორტის კეთილმოსაწყობად. დამთავრდა გადასასვლელების დაბეტონება, რომლებზეც 2 მეტრის სიგანის ქვაფენილი კეთდება. მოაჯირები მოპირკეთდება ეკლარის ქვით, მოეწყობა ლამპიონები. წელს კურორტის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოებზე 3 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

ნაყინის დამამზადებელი საამქრო

საქართველოს კურორტვაჭრობის წყალტუბოს განყოფილებამ მოკლე ხანში ააგო და საექსპლოატაციოდ გადაცა ნაყინის დამამზადებელი მექანიზებული საამქრო, რომელიც უახლესი დანადგარებით არის აღჭურვილი.

საამქრო ყოველდღიურად ასობით კილოგრამ სხვადასხვა სახის ნაყინს ამზადებს. სამ თვეში გამოშვებული და რეალიზებულია 9,5 ტონა ნაყინი.

შ. ტოგონიძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რაიკომიდან დახმარების მოლოდინში“ — ამ სათაურით „კომუნისტის“ 6 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც მხილებულ იყო სტალინირის რაიონის სოფელ ქემერტის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებანი, ამ ორგანიზაციისადმი რაიკომის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა და დახმარება.

როგორც პარტიის სტალინირის რაიკომის მდივანი ამხ. კ. თვალაშვილი გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ქემერტის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი.

დასავლეთ გერმანიის პარლამენტის არჩევნებისწინ

ბერლინი, 1 სექტემბერი. (საკდესი). 6 სექტემბერს დასავლეთ გერმანიაში მოხდება დასავლეთ გერმანიის პარლამენტის (ბუნდესტაგის) არჩევნები.

ბონში ხელისუფლების სათავეში დაყენებულმა ადენაუერის რევანშისტულმა ხროვამ ბატონობის ოთხ წელიწადში თავისი ანტიხალხური პოლიტიკით მნიშვნელოვანწილად გამოუთხარა ძირი თავის ავტორიტეტს მოსახლეობის ფართო მასებში. მიუხედავად ამისა, დასავლეთ გერმანიისა და ამერიკის მონოპოლიების — დასავლეთ გერმანიის ფაქტიურ ბატონ-პატრონებს — სურთ რადაც უნდა დაუჯდეთ ხელისუფლების სათავეში შეინარჩუნონ თავიანთი აგენტები — ადენაუერი და კომპანია. ამ გარემოებას არ მალავს არც გერმანული და არც დასავლეთ ევროპის პრესა. „ოთხ წელიწადს ადენაუერი წარბშეუხრელად მართავდა ხალხის წინააღმდეგ“, — წერდა ბურჟუაზიული „ფულდაერ ფოლკსციტუნგი“. „ადენაუერმა, რომელიც ოთხ წელიწადს ხელისუფლების სათავეშია, დაამტკიცა, რომ იგი, უეჭველია ევროპაში ამერიკის საგარეო პოლიტიკის ყველაზე ენერგიული მომხრეა“, — აღნიშნავდა რეიტერის სააგენტოს ბონელი კორესპონდენტი.

როგორც ცნობილია, ადენაუერის საშინაო პოლიტიკამ გამოიწვია გერმანიის კონცერნების, მილიტარიზმისა და რევანშიზმის განმტკიცება, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შემდგომი გაღატაკება, გერმანიის გათიშვის გაღრმავება. საგარეო პოლიტიკის დარგში ადენაუერი, მოსახლეობის ფართო მასების ნების წინააღმდეგ, ცდილობდა დასავლეთი გერმანია შეეყვანა ამერიკის აგრესიული კავშირებისა და ბლოკების სისტემაში — ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში, და ევრეფოწოდებულ „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“.

გერმანელი ხალხის ძირეულ ინტერესებსა და ბონის ოფიციალურ პოლიტიკას შორის წინააღმდეგობათა გამწვავებამ ბონის ხელისუფალნი და მათი ოკეანესგაღმელი მფარველები აიძულა მიეღოთ მთელი რიგი საგანგებო ღონისძიებანი, რომ ცდილიყვნენ რადაც უნდა დაჯდომოდათ არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში შეენარჩუნებინათ ახლანდელი მმართველი ზედაფენა.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა ულმობელი წინასაარჩევნო ტერორი დასავლეთ გერმანიის პროგრესული ძალების წინააღმდეგ. ბონის პოლიციის ხელისუფალნი აპატიმრებენ იმ პირებს, რომლებიც ავრცელებენ კომპარტიის (გერმანიის კომუნისტური პარტიის) წინასაარჩევნო პროგრამას, ახდენენ დემოკრატიული პარტიების საარჩევნო მასალების კონფისკაციას, ხურავენ კომუნისტურ გაზეთებს, ეჭიკებიან გერმანიის კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო მიტინგებს, სცემენ ამ მიტინგების აქტიურ მონაწილეებს და სხვ.

ბონის ხელისუფალნი დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ თავიანთ ლაშქრობაში იყენებენ ფაშისტურ-ტერორისტულ ორგანიზაციას „გერმანელი ახალგაზრდობის კავშირს“ და საზოგადოების სხვა ნაძირალებს.

ანტიხალხურია საარჩევნო სისტემა, რომელიც მიღებულ იქნა ბონში არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე. ახალი საარჩევნო სისტემის მიზანია დაბნიოს ამომრჩეველი და შექმნის დამატებითი დაბრკოლებანი, რათა არ დაუშვას ბუნდესტაგში პროგრესული პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა არჩევა. დახლართული საარჩევნო კანონი ფართო შესაძლებლობას შექმნის აგრეთვე არჩევნების შედეგების გასაყალბებლად. ახალი საარჩევნო კანონით ყოველ ამომრჩეველს აქვს ორი ხმა. იგი ერთ ხმას აძლევს კანდიდატს, რომელიც დასახელებულია ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში, მეორე ხმას კი პარტიულ სიებს, რომლებიც წამოყენებულია თვითეულ მხარეში. ამრიგად, ნახევარი სადეპუტატო ადგილები ნაწილდება პარტიებს შორის პროპორციული სისტემით, პარტიების მიერ შეგროვებული ხმების რაოდენობის მიხედვით. მაგრამ კანონში არსებობს სპეციალური შენიშვნა ხუთი პროცენტის შესახებ. მანდატების მისაღებად პარტიამ უნდა მოაგროვოს პარტიული სიებისათვის მიცემული ყველა ხმის 5 პროცენტი მაინც. დემოკრატიული გერმანელი პრესა აღნიშნავს, რომ ამ ნიკის დახმარებით ბონის რეჟიმიას იმედი აქვს ბუნდესტაგში არ დაუშვას გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები, აგრეთვე წვრილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები.

ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტებს იმედი აქვთ გამარჯვება უზრუნველყონ თავიანთი დაყენებული პირებისათვის აგრეთვე იმ უდიდესი ფინანსური სახსრების მეოხებით, რაც მათ უხვად გაიღეს პრესის მოსასყიდად და გაფფრებული დემაგოგიური აგიტაციის მოსაწყობად. გაზეთ „დოიჩე ვოხეს“ ცნობით, მარტო დასავლეთ გერმანიის კონცერნების მეწარმეებმა ბონის მმართველი პარტიების საარჩევნო კამპანიისათვის „შესწირეს“ 50 მილიონი მარკა. ამერიკელებმაც თავიანთი უმაღლესი კომისრის მეშვეობით ადენაუერის საარჩევნო ფონდში შეიტანეს 6 მილიონი მარკა.

დასავლეთ გერმანიის დპა-ს საგენტოს ცნობებით, 6 სექტემბრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს 33 მილიონამდე კაცს. სულ არჩეულ იქნება 484 დეპუტატი, 242 დეპუტატს აირჩევენ ხმების შედარებითი უმრავლესობით საარჩევნო ოლქში. დანარჩენ 242 დეპუტატს — პარტიების სამხარეო სიებით, თვითეული პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით. სულ კენჭს იყრის 2.600-მდე კანდიდატი, რომლებიც დასახელებულია 15 ძირითადი პარტიისა და ორგანიზაციისგან. არჩევნებში მონაწილე ორგანიზაციებისა და ჯგუფების საერთო რაოდენობა კი ორმოცს აღწევს.

რეაქციის ყურადღება მთლიანად ექცევა ახლანდელი მთავრობის კოალიციის პარტიებს: ეს არის, უწინარეს ყოვლისა, ადენაუერის პარტია — „ქრისტიან-დემოკრატთა კავშირი — ქრისტიანთა სოციალური კავშირი“ — მსხვილი კაპიტალისა და ამერიკის იმპერიალიზმის აგენტური პარტია, თავისუფალი დემოკრატიული პარტია — აგრეთვე მსხვილი ბურჟუაზიის პარტია, და გერმანული პარტია, რომელიც გამოხატავს დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიისა და იუნკრობის რევანშისტულად განწყობილი ნაციონალისტური წრეების ინტერესებს. გერმანული პარტია მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა ყოფილ ფაშისტებს.

ადენაუერის პარტიამ — „ქრისტიან-დემოკრატთა კავშირმა — ქრისტიანთა სოციალურმა კავშირმა“ მანდატების მეტი რაოდენობის მიღების მიზნით საარჩევნო შეთანხმებანი დადო რეაქციული ტიპის ზოგიერთ პატარა პარტიასთან, კერძოდ ცენტრის პარტიასთან.

მთავრობის [illegible] ...ბა ...ნათლად [illegible] ...ხელმძღვანელობს ერ[illegible] ...ბასა და ბუნდესტაგს. ესენი არიან გერმანიის ეროვნული ინტერესების გამცემლობის პარტიები, გერმანიისა და ამერიკის იმპერიალიზმის პარტიები, გერმანიის გათიშვის და ომის პარტიები.

ბონის რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელია 6 სექტემბრის არჩევნებში აშკარა ფაშისტური შეშადგენლობის, ფაშისტურ-რევანშისტული პროგრამის მქონე პარტიის ოფიციალური მონაწილეობა. საქმე ეხება გერმანიის საიმპერიო პარტიას.

ოპოზიციის ყველაზე დიდი პარტიაა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც არჩევნებში მხარს უჭერენ დასავლეთ გერმანიის პროფკავშირები.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე რეფორმისტული ხელმძღვანელობა, ისწრაფვის რა შეინარჩუნოს გავლენა მასებში, მასების ზეგავლენით იძულებული გახდა საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში გაეკრიტიკებინა ადენაუერის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთელი რიგი საკითხები და წამოეყენებინა ხალხში ისეთი პოპულარული ლოზუნგები, როგორიცაა გერმანიის გაერთიანება, რაიმე სამხედრო კავშირებში მონაწილეობაზე უარის თქმა და სხვ. მაგრამ ეს ხელს როდი უშლის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს პირდაპირ და არაპირდაპირ მონაწილეობდნენ ადენაუერის პოლიტიკაში, ეწეოდნენ ანტიკომუნისტურ პროპაგანდას, გადოდიოდნენ მუშათა კლასის ერთიანობის მიღწევის შესახებ გერმანიის კომუნისტური პარტიის ყოველი წინადადების წინააღმდეგ. ბუნდესტაგის ახლანდელ შემადგენლობაში გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს 129 მანდატი, ხოლო ადენაუერის პარტიას — „ქრისტიან-დემოკრატთა კავშირს — ქრისტიანთა სოციალურ კავშირს“ — 146 მანდატი.

დასავლეთ გერმანიის ახლანდელ საარჩევნო ბრძოლაში საინტერესო მომენტი ის არის, რომ არსებობს პროგრესული ბურჟუაზიული ოპოზიცია ადენაუერის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ოპოზიციას წარმოადგენს სრულიად გერმანიის სახალხო პარტია, რომელსაც ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ადენაუერის მთავრობაში ჰაინემანი მეთაურობს და რომელიც გამოდის ერთიანობისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირთან ბლოკით (ამ კავშირის ხელმძღვანელები არიან გერმანიის ცნობილი დემოკრატი მოღვაწეები გ. ელფესი და დოქტორი ვირტი). ეს პარტიები მოითხოვენ გერმანიის ერთიანობის მიღწევას და მის დამოუკიდებლობას საგარეო პოლიტიკურ საკითხებში, ყოველგვარ სამხედრო კავშირზე უარის თქმას.

გერმანელ მშრომელთა ინტერესებისა და გერმანიის ეროვნული ინტერესებისათვის, ერთიანობისა და საზავო ხელშეკრულებისათვის, რემილიტარიზაციისა და ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ თანმიმდევრულ მებრძოლად არჩევნებში გამოდის გერმანიის კომუნისტური პარტია. გერმანიის კომუნისტური პარტია წინასაარჩევნო ბრძოლას ეწევა მთავრობის ხროვის სასტიკი ტერორისა და არჩევნებში თითქმის ყველა მონაწილე პარტიისა და ჯგუფის მხრივ ცილისწამების პირობებში.

ჩრდილოეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე

სტოკჰოლმი, 2 სექტემბერი. (საკდესი). 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს სტოკჰოლმში გაიმართა შვეიცის, დანიის, ნორვეგიისა და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. თათბირი ძირითადად მიეძღვნა საკითხებს, რომლებიც განხილული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ VIII სესიაზე. თათბირის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთი განზრახვა მხარი დაუჭირონ იმის მისწრაფებას, რომ კორეაში დაზავება გადაიცეს მტკიცე მშვიდობად. მინისტრებს იმედი აქვთ, რომ ამის შედეგად პეკინის მთავრობა მალე შეძლებს წარმოადგინოს ჩინეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“.

კომუნიკეში გარდა ამისა ნათქვამია, რომ თათბირზე განხილულ იქნა საკითხი სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს წევრად ნორვეგიის კანდიდატურისათვის, ადმინისტრაციული და საბიუჯეტო საკითხების სათათბირო კომიტეტის წევრად დანიის კანდიდატურისათვის მხარდაჭერის შესახებ, აგრეთვე სხვა საკითხები.

ჩრდილოეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შემდეგი თათბირი განზრახულია მოეწყოს კოპენჰაგენში 1954 წლის გაზაფხულზე.

გავშვთა ახალი სანატორიუმი სურამში

სურამი. (საკ. კორ.). სურამი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო კერას წარმოადგენს. აქ ზაფხულობით მრავალი ბავშვი ჩადიოდის საგგარაკოდ. ეწყობა პიონერთა ბანაკები და საბავშვო ბაღები. სურამში ბავშვთა ორი სანატორიუმია.

ამ დღეებში კურორტს ერთი ახალი მშენება შეემატა — დამთავრდა ბავშვთა ახალი სანატორიუმის მშენებლობა და კეთილმოწყობა. მიღებულია ახალი საწოლები, თეთრეული და ინვენტარი, შემოღობილია ეზო, მოწყობილია პროდუქტების საწყობი, სასადილო-სამზარეულო, სამრეცხაო, აბანო, წყალსადენი და კანალიზაცია, აიგო მოსამსახურეთა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

სანატორიუმი დაკომპლექტებულია სამედიცინო კადრებით და მომსახურე პერსონალით. 15 სექტემბერს სანატორიუმი მიიღებს ნორჩ დამსვენებელთა პირველ ნაკადს — 50 ბავშვს. სანატორიუმი იმუშავებს განუწყვეტლივ — მთელი წლის განმავლობაში.

„კომუნისტი“

ეროვნულ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის დიადმა მონაპოვრებმა, რომლებიც მიღწეულ იქნა სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის მსვლელობაში, მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს საბჭოთა კონსტიტუციაში. ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, რომლებიც მდუმარედ გამოდიან ერებისა და ერების არათანასწორუფლებიანობიდან და ნაციონალისტური ორიან თავიანთი არსით, საბჭოთა კონსტიტუცია გამოდის იქიდან, რომ კანის ფერის ან ენის, კულტურული დონის ან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების განსხვავება, ისევე როგორც რაიმე სხვა განსხვავება ერებსა და რასებს შორის, არ შეიძლება წარმოადგენდეს იმის საფუძველს, რომ გამართლებულ იქნას ეროვნული არათანასწორუფლებიანობა. ეგი გამოდის იქიდან, რომ ყველა ერი და რასა, მათი განსხვავების მიუხედავად, ერთნაირი უფლებებით უნდა სარგებლობდეს სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. უფლებათა რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა, ან პირიქით, მოქალაქეების პირდაპირ თუ არაპირდაპირ უპირატესობათა დაწესება რასობრივი და ეროვნული კუთვნილების მიხედვით, ისევე როგორც რასობრივი თუ ეროვნული განკერძოებულობის ან სიძულვილისა და ქედმაღლობის ...ელგვარი ქადაგება საბჭოთა ქვეყანაში ...ანონით ისჯება.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ...ატიის მთავარ მონაპოვარს წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების განვითარების მძლავრი მამოძრავებელი ძალის — ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ხალხთა მეგობრობა განმტკიცდა და გამოიწრთო დიდი სამამულო ომის წლებში სსრ კავშირის ხალხთა საერთო ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის.

დაუცხრომლად განვამტკიცებდეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობასა და მეგობრობას

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებამ თავი იჩინა უწინარეს ყოვლისა მეურნეობის აღდგენით იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანელ ფაშისტთა ჯარების ოკუპაცია განიცადეს. უკრაინამ, ბელორუსიამ, მოლდავეთმა, ესტონეთმა, ლიტვამ და ლატვიამ უხვი უანგარო დახმარება მიიღეს რუსეთის ფედერაციისაგან, კავკასიისა და შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებისაგან. ყველა საბჭოთა რესპუბლიკის საერთო ღონისძიებები ხორციელდებოდა რუსეთის ფედერაციის იმ ოლქების აღდგენა, რომლებმაც განიცადეს მტრული ოკუპაცია გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მხრივ.

ომისშემდგომ პერიოდში სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს შეაქვს თავისი საკუთარი წვლილი. ჩვენი სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის დიადი მიღწევები, რომლებიც პარტიის XIX ყრილობამ აღნიშნა, ჩვენი ქვეყნის ყველა სოციალისტური ერისა და ეროვნების ერთობლივ ღონისძიებათა შედეგია. ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია გამდიდრდა ახალი მეტალურგიული ქარხნებით, რომლებიც აშენდა საქართველოსა და უზბეკეთში, ახალი მანქანათმშენებელი ქარხნებით, რომლებიც აშენდა რსფს რესპუბლიკაში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში, ბელორუსიაში, საქართველოში, აზერბაიჯანში, უდიდესი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით (მაგალითად, უსტ-კამენოგორსკისა ყაზახეთში, ფარხადისა უზბეკეთში), ნავთობის მრეწველობის შემდგომი განვითარებით აზერბაიჯანში და განსაკუთრებით მეორე ბაქოს რაიონებში — ბაშკირეთსა და თათრეთში, ქვანახშირის მრეწველობის ახალი წარმატებებით უკრაინაში, ყაზახეთსა და რუსეთის ფედერაციაში და სხვ.

ომისშემდგომ პერიოდში ხალხთა მეგობრობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელმა ძალამ განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი სოციალისტურ შეჯიბრებაში. სტალინური პრემიის ლაურეატთა შორის, წარმოების ნოვატორთა შორის სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის საუკეთესო ადამიანთა სახელები. საწარმოო და პოლიტიკური აქტიურობის ზრდას ვხედავთ ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში. კომუნისტური პარტიის მზრუნველობის მეოხებით ერთი რესპუბლიკის ნოვატორთა გამოცდილება ყველა დანარჩენი რესპუბლიკის კუთვნილება ხდება და ხელს უწყობს საერთო აღმავლობას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ შემდეგშიც სულ უფრო განამტკიცონ და გააფართოონ სამეურნეო და კულტურული კავშირი რესპუბლიკებს შორის, მათი ურთიერთდახმარება თვითეული რესპუბლიკის ინტერესების საბჭოთა კავშირის ინტერესებთან ჰარმონიული შეხამების საფუძველზე. მოკავშირე რესპუბლიკების საჭიროებისათვის კომუნისტური პარტიის ზრუნვის დამაჯერებელ მაგალითს წარმოადგენენ ხუთწლიანი გეგმის დავალებანი ბალტიისპირეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების განვითარების დარგში. ახლანდელ ხუთწლედში განხორციელდება ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია. განზრახულია 2-2,5-ჯერ გაიზარდეს ელექტროენერგიის გამომუშავება, აშენდეს ნარვის ჰიდროელექტროსადგური, რიგის თბოელექტროცენტრალი და გაჩაღდეს ყაუნასის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. განზრახულია მანქანათმშენებლობის, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება.

ხალხთა მეგობრობის შემოქმედებითი, ქმედითი ძალა თავს იჩენს საბჭოთა კავშირის ხალხთა არა მარტო ეკონომიკის, არამედ აგრეთვე კულტურის განვითარებით. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში ფართოდ ჩაღდება ახალი სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო ინსტიტუტების, თეატრების, კლუბების, კინოების და სხვ. მშენებლობა. უკვე 12 მოკავშირე რესპუბლიკაშია ეროვნული მეცნიერებათა აკადემიები. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ინტენსიურად მზადდება საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა კადრები, იზრდება მეცნიერთა ბევრი ახალი კანდიდატი და დოქტორი.

კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში სულ უფრო მჭიდრო ხდება სულიერი ურთიერთობა სოციალისტურ ერებს შორის. თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის მიღწევები ეროვნული კულტურის განვითარებაში დანარჩენთა კუთვნილება ხდება. წარმოებს ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრება. დიადი რუსული კულტურის სიმდიდრეთა სულ უფრო მეტად გამოყენება ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების კულტურის წარმატებით განვითარებას. საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებები სწრაფად გაითქვამენ ხოლმე სახელს მთელ საბჭოთა კავშირში და დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

კულტურული მშენებლობისა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა საშუალებას პარტია მიზანდასახულად წარმართავს მასების აღზრდისათვის ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა.

ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის ზრუნვა გულისხმობს მეურიგებელ ბრძოლას ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ. თუმცა ჩვენში ექსპლოატატორული კლასები ლიკვიდირებულია და, მაშასადამე, ბურჟუაზიული ნაციონალიზმისათვის სოციალური ბაზა არ არსებობს, მაგრამ ნაციონალისტური გადმონაშთები კიდევ არის დარჩენილი. ეს გადმონაშთები თავს იჩენენ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ისტორიაში, სხვა საზოგადოებრივ დისციპლინებში. ნაციონალიზმის ყველა ამ გამოვლინებისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშანია წარსულის იდეალიზაცია, თავის ეროვნულ ნაჭუჭში ჩაკეტვა, შეუფასებლობა სოციალისტური გარდაქმნების და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის უდიდესი მნიშვნელობისა მოცემული ხალხის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული აყვავების საქმეში.

ბურჟუაზიული ნაციონალისტები ცდილობენ დაუპირდაპირონ ერთი ხალხი მეორეს, განავითარონ ანტირუსული ტენდენციები. ამხილებს რა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, პარტია თავის აღმზრდელობითს მუშაობაში გვიჩვენებს რუსული კულტურის, რუსი ხალხის დიდ პროგრესულ როლს ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

იმპერიალიზმის ძალები ცდილობენ სსრ კავშირში ნაციონალიზმის ზოგიერთი გადმონაშთის არსებობა იმისათვის გამოიყენონ, რომ ააღორძინონ და გააღვივონ შუღლი ერთა შორის. ბურჟუაზიული ნაციონალისტები ცდილობდნენ დაენერგათ საბჭოთა საზოგადოებაში, რომელიც შედუღაბებულია მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით, ეროვნული შუღლის იდეები, რომლებიც უცხოა ჩვენი ადამიანებისათვის.

პარტია გაბედულად ამხილებს ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის დარღვევებს და გადაჭრით ძლევს მათ. ამასთან პარტიამ ამხილა ავანტიურისტები, კარიერისტები, რომლებიც ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებებთან ბრძოლას ყალბი ბრალდებით ცდილობდნენ გაეღვივებინათ შუღლი ერთა შორის, გაეძლიერებინათ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა პოზიციები.

პარტია აცხადებს, რომ არავის არ მიეცემა ნება დაარღვიოს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა. საბჭოთა სახელმწიფო

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საკდესი). უშიშროების საბჭო გუშინდელ სხდომაზე განაგრძობდა 15 სახელმწიფოს თხოვნის განხილვას, რომ საბჭომ თავის დღის წესრიგში შეიტანოს და განიხილოს საკითხი მაროკოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

სხდომაზე გამოსული ლიბანისა და პაკისტანის დელეგატები აკრიტიკებდნენ შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციას, რომლებიც ხელს უშლიან უშიშროების საბჭოში მაროკოს მდგომარეობის საკითხის განხილვას.

როგორც პაკისტანის წარმომადგენელმა აღნიშნა, ამერიკის დელეგაციის უარი, რომ საბჭოს დღის წესრიგში შეტანილ იქნას 15 ქვეყნის თხოვნა, იმას მოწმობს, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერენ მაროკოში საფრანგეთის კოლონიურ ბატონობას და ამიტომ არ სურთ დაუშვან მაროკოს საკითხის განხილვა. შეერთებული შტატების წარმომადგენლის ლოჯის განცხადება, თქვა მან, ცხადყოფს, რომ შეერთებული შტატები უგულებელყოფენ მაროკოელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

პაკისტანის წარმომადგენელმა მოწონებით მოიხსენია საბჭოთა დელეგაციის განცხადება და პოზიცია მაროკოს საკითხში და ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდ სახელმწიფოთაგან უშიშროების საბჭოში მარტო საბჭოთა კავშირმა დაუჭირა მხარი 15 სახელმწიფოს თხოვნას და დაიცვა მაროკოს ეროვნული ინტერესები.

2 სექტემბერს საბჭო განაგრძობს 15 ქვეყნის თხოვნის განხილვას.

იტალია-იუგოსლავიის ურთიერთობისათვის

რომი, 2 სექტემბერი. (საკდესი). მთავრობის პრესა და მონარქისტული და ფაშისტური გაზეთები თავისებურ ცნობას „შეჭარისა და ძალადობის“ შესახებ, რასაც, მათი სიტყვით, გაწიცდიან „ბ“ ზონაში მცხოვრები იტალიელები.

რომი, 2 სექტემბერი. (საკდესი). იტალიის თავდაცვის სამინისტრომ „საფუძველს მოკლებული“ უწოდა იუგოსლავიის საგენტოს ტანიუგის ცნობას იტალიის ბომბდამშენის მიერ იუგოსლავიის საჰაერო სივრცის დარღვევის შესახებ.

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი რომიდან გადმოგვცემს:

რომის გუშინდელი საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის „ბ“ ზონაში, რომელიც იუგოსლავიის კონტროლშია, გაიმართა „მანიფესტაციები იტალიის წინააღმდეგ“. გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს, რომელთა თანახმად ამ მანიფესტაციების მიზანია „წაქეზოს ხალხი დიდი მტინგის წინ, რომელიც ვიპაკოს ველში გაიმართება და რომელზეც ტიტო უნდა გამოვიდეს“.

გაზეთები ამტკიცებენ, რომ ორატორები „აღვივებენ ნაციონალისტურ სიძულვილს და მოითხოვენ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის „ბ“ ზონის ანექსიას“.

ბელგრადი, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ტანიუგის საგენტო იუწყება, ნოტაში, რომელიც გუშინ იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს რომში იუგოსლავიის მისიის მეშვეობით გადაეცა, გამოთქმულია მტკიცე პროტესტი იუგოსლავია-იტალიის საზღვრის გაყოლებით იტალიის ნაწილების შეიარაღებული დემონსტრაციების წინააღმდეგ.

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო რომიდან იუწყება, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იუგოსლავიის მთავრობის ნოტის საპასუხოდ იუგოსლავიის მისიას გადუგზავნა ნოტა, რომელშიც აღნიშნულია, რომ „იტალიის მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა მიეღო სიფრთხილისა და თავდაცვის ზოგიერთი ღონისძიებანი“.

დაპატიმრებანი ირანში

თეირანი, 2 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „დადი“ დღეს წერს, რომ 26 აგვისტოდან ამოლში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

იმავე გაზეთის ცნობით, გუშინდელი დღის მანძილზე თეირანში სამხედრო ხელისუფლებამ დააპატიმრეს 98 კაცი, მათ შორის 29 კაცი ქალაქის სომხურ რაიონში. კერძოდ, დაპატიმრებულია იუსტიციის ყოფილი მინისტრი ლოტფი, მეჯლისის დეპუტატი მილანი, ირანის მშვიდობის მომხრეთა საზოგადოების წევრი ლენქორანი და პროფესორი აკოფიანი.

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, გუშინ თეირანში ბოლოციამ და სამხედრო ხელისუფლებამ დააპატიმრეს 94 კაცი. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მოსალოდნელია შემდგომი დაპატიმრებანი.

გენერალი რიჯუეი ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა დაბალი მორალური მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის ბიგარტის ცნობით, ამერიკის არმიის შტაბის ახალმა უფროსმა გენერალმა რიჯუეიმ 31 აგვისტოს პრეს-კონფერენციაზე თავისი სიტყვის მეტი ნაწილი მიუძღვნა სამხედრო მოსამსახურეთა დაბალ მორალურ მდგომარეობას, რომელზეც, მისი სიტყვით, არახელსაყრელი გავლენა აქვს ამერიკელ ხალხში ფართოდ გავრცელებულ უპატივცემლობას ოფიცერთა კორპუსისადმი.

გენერალმა რიჯუეიმ განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომ არაჩვეულებრივად ბევრმა კადეტმა ვესტ-პოინტში (სამხედრო სკოლა — რედ.) თავი დაანება სამხედრო სამსახურს...

სამხედრო ყუვეთა რეპატრიაცია კორეაში

პეკინი, 2 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს:

კორეა-ჩინეთის მხარემ დღეს მოახდინა 100 ამერიკელი და 199 სამხრეთკორეელი სამხედრო ტყვის რეპატრიაცია. მეორე მხარემ სამშობლოში დაბრუნა კორეის სახალხო არმიის პერსონალის 2.397 სამხედრო ტყვე.

მაქს რაიმანის მიმართვა
დასავლეთგერმანელი ამომრჩევლებისადმი

ბერლინი, 3 სექტემბერი. (საკდესი). ადნ-ის საგენტო დიუსელდორფიდან გადმოგვცემს:

გუშინ გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა დასავლეთგერმანელ ამომრჩევლებს მიმართა მოწოდებით გაუხსნან გზა ერთიანი, დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნას, თავისი პასუხისმგებლობის შეგნებით მიიღონ გადაწყვეტილება 6 სექტემბერს, მაქს რაიმანმა მოაგონა ამომრჩეველთ, თუ რა აუარაცხელი მსხვერპლი და ენით გამოუთქმელი ტანჯვა მოუტანა გერმანიას ორმა მსოფლიო ომმა. არასოდეს აღარ უნდა განმეორდეს ასეთი ეროვნული უბედურება ჩვენი ხალხისათვის, თქვა მან. თუ ეს ერთხელ კიდევ გამეორდა, აღსასრულის მომასწავებელი იქნება. საქმე ეხება სწორედ ამას და არა სხვა რამეს 6 სექტემბერს გადაწყვეტილების მიღების დროს, მაგრამ გერმანელ ხალხს კეთილდღეობისა და ბედნიერების გზას უღობავს ადენაუერის მთავრობა. დაამხოს ეს მთავრობა და ძლიერი გახადოს კომუნისტური პარტიის პოზიცია ახალ ბუნდესტაგში — აი რა არის ამ არჩევნების მთელი აზრი და მთელი შინაარსი.

მაქს რაიმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ბუნდესტაგში შეიქმნას ძლიერი კომუნისტური ფრაქცია იმისათვის, რომ დასავლეთ გერმანიაში აილაგმოს მილიტარიზმისა და ფაშიზმის ძალები, რომლებსაც თან მოაქვთ დაღუპვა, ახალგაზრდობის იძულებითი ჯარში გაწვევის შესაწყვეტად და კონსტიტუციით გათვალისწინებულ ხალხის უფლებათა აღსადგენად.

დასასრულ გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა თქვა: „ახლა თვითეულ ჩვენგანზე დამოკიდებულია ჩვენი ბედნიერება. როცა თქვენ, გერმანელი ამომრჩეველნი, შეხვალთ საარჩევნო კაბინში და თვალწინ გექნებათ ბევრი პარტიის სია. იფიქრეთ მხოლოდ ერთ რამეზე: თქვენს თავზე, თქვენს შვილებზე, თქვენს ოჯახზე და თქვენს საკუთარ გამოცდილებაზე, რომელიც ამ უკანასკნელ 50 წელიწადში მიიღეთ“.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის მიმართვა ვიეტნამელი ხალხისადმი

შანხაი, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა რესპუბლიკის მე-8 წლისთავის გამო წერილით მიმართა ვიეტნამელ ხალხს.

ჩვენ მუდამ ვემხრობით მშვიდობას, ნათქვამია წერილში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მშვიდობა ვერ იქნება მიღწეული, სანამ ჩვენი ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა გამარჯვებით არ დამთავრდება, რომ მშვიდობა არ შეიძლება შენარჩუნებულ იქნას, სანამ ჩვენი ქვეყანა არ გახდება ნამდვილად ერთიანი და დამოუკიდებელი.

ვიეტნამის ეროვნული დღესასწაულის გამო ჩვენი ხალხის, არმიისა და მთავრობის სახელით მადლობას ვუძღვნი მეგობრულ ხალხებს მათი მხარდაჭერისათვის, აგრეთვე ფრანგ ხალხს და მსოფლიოს სხვა ხალხებს მშვიდობის დასაცავად მათი ბრძოლისათვის.

თუმცა ჩვენ დიდი გამარჯვებანი მოვიპოვეთ, ნათქვამია შემდეგ წერილში, მაგრამ არ უნდა დავმშვიდდეთ მიღწეულით და ჯეროვნად უნდა შევაფასოთ მტერი. იმისათვის, რომ მივაღწიოთ ნამდვილ დამოუკიდებლობასა და ერთიანობას და შევიტანოთ წვლილი მშვიდობის დაცვის საქმეში, ჩვენი განმათავისუფლებელი ომის მონაწილეებმა უნდა გამოიჩინონ სიფხიზლე და შეუპოვრობა; ჩვენმა არმიამ და ხალხმა გადაჭრით უნდა გადალახონ ყველა სიძნელე...

...ჩვენი არმია, ხალხი და კადრის მუშაკები კიდევ უფრო მეტად უნდა გაიმსჭვალონ იმის შეგნებით, რომ შეიარაღებული წინააღმდეგობა ხანგრძლივი და შეუპოვარი იყოს; მათ ზუსტად უნდა გამოარჩიონ მტრები მეგობრებისაგან, გამოიჩინონ სიმშვიდე და ჩაფუშონ მტრის მიერ მოტყუების ყველა ცდა, აგრეთვე ჩაფუშონ მტრის პოლიტიკა „გამოიყენონ ვიეტნამელები თვით ვიეტნამელების წინააღმდეგ საბრძოლველად“.

ჩვენი ხალხი, ნათქვამია დასასრულს წერილში, კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დაიარაზმოს, გადალახოს ყველა სიძნელე, შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები, გააძლიეროს შეიარაღებული წინააღმდეგობა და დაიცვას ჩვენი დამოუკიდებლობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
აღმინისტრაციული ტრიბუნალის გადაწყვეტილებანი

ჟენევა, 2 სექტემბერი. (საკდესი). აგვისტოს შუა რიცხვებში ჟენევაში მიმდინარეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმინისტრაციული ტრიბუნალის სესია.

ამჟამად გამოქვეყნებულია ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმინისტრაციული ტრიბუნალი არჩევს სადავო საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომლებსა და გენერალურ მდივანს შორის ოფიციალურ ურთიერთობაში. ტრიბუნალის სესიამ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება გენერალური მდივნის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 21 თანამშრომლის — ამერიკელი მოქალაქის დათხოვნის შესახებ, რაც მოხდა 1952 წლის დამლევს და 1953 წლის დამდეგს. 12 შემთხვევაში გენერალური მდივნის გადაწყვეტილებანი ტრიბუნალმა აღიარა არასწორად. ტრიბუნალის გადაწყვეტილებათა თანახმად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომლების — ამერიკელი მოქალაქეების დათხოვნა გამოწვეული იყო იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ამ მოქალაქეებმა უარი თქვეს ეპასუხნათ ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო უშიშროების საკითხების სენატის ქვეკომისიის ზოგიერთ კითხვაზე.

დამახასიათებელია ბავშვთა დამხმარე საერთაშორისო ფონდის ყოფილი თანამშრომლის რუტ კროუფორდის შემთხვევა. 1947 წლის დეკემბერში კროუფორდი მიიღეს სამუშაოზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. 1952 წლის 15 ოქტომბერს იგი მოწმედ გაიწვიეს სენატის ხსენებულ ქვეკომისიაში, რომელიც „მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომელ ამერიკელ მოქალაქეთა საქმიანობის საკითხებზე“. კროუფორდმა, როგორც ტრიბუნალის გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, „ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეხუთე შესწორების საფუძველზე უარი თქვა“ ეპასუხნა ქვეკომისიის მიერ მისთვის მიცემულ სამ კითხვაზე. 1953 წლის 7 იანვარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა წინადადება მისცა კროუფორდს წასულიყო სამუშაოდან. კროუფორდმა გააპროტესტა გენერალური მდივნის ეს გადაწყვეტილება, მაგრამ მაინც იძულებული გახდა დაეტოვებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

რა კითხვებზე არ გასცეს პასუხი კროუფორდმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელმა რიგმა სხვა თანამშრომლებმა?

ტრიბუნალის გადაწყვეტილებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომლის ამერიკელი მოქალაქის გორდონის საქმეზე ნათქვამია: „გორდონმა იმ შეღავათების საფუძველზე, რომლებიც გარანტირებულია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეხუთე შესწორებით, უარი თქვა ეპასუხნა მისთვის მიცემულ ზოგიერთ კითხვაზე, კერძოდ, — ეკუთვნოდა თუ არა იგი როდისმე კომუნისტურ პარტიას, ეწევა თუ არა იგი ისეთ საქმიანობას, რომელიც მიმართულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინააღმდეგ, და ხომ არ ეწეოდა იგი როდისმე ჯაშუშობას“.

რამდენიმე დღის შემდეგ (1952 წლის ოქტომბერში) გორდონმა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სენატის ქვეკომისიის მიერ მისთვის მიცემულ მთელ რიგ კითხვებზე პასუხის მიცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, რამაც „ძლიერ შეაშფოთა“ გენერალური მდივანი, მას წინადადება ეძლევა შვებულებაში წავიდეს. 1952 წლის 31 ოქტომბერს გორდონს აუკრძალეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინის განლაგებაში მისვლა „შვებულების“ დროს, ხოლო 5 დეკემბერს იგი დაითხოვეს.

ამრიგად, კროუფორდი და გორდონი გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან დათხოვნილ იქნენ იმისათვის, რომ უარი თქვეს ეპასუხნათ სენატის ქვეკომისიის პროვოკაციულ კითხვებზე, რისი უფლებაც მათ ჰქონდათ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეხუთე შესწორების თანახმად.

თუმცა აღმინისტრაციული ტრიბუნალი თანმიმდევრული არ აღმოჩნდა და ცხრა შემთხვევაში დაადასტურა გენერალური მდივნის გადაწყვეტილება, მაგრამ კროუფორდისა და გორდონის და მთელ რიგ სხვა შემთხვევებში ტრიბუნალმა მაინც მიიღო გადაწყვეტილება აღდგენილ იქნან ისინი სამუშაოზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და აუნაზღაურდეთ განსაზღვრული თანხა იძულებითი გაცდენისათვის.

დასაბუთა რა ტრიბუნალის წინაშე თავისი საჩივარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის გადაწყვეტილების შესახებ, გორდონმა აღნიშნა, რომ გენერალური მდივნის გადაწყვეტილება არც კანონიერია და არც ნამდვილია, რადგან იგი იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტსა და გენერალურ მდივნს შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომლების — ამერიკის შეერთებული შტატების ქვეშევრდომების პოლიტიკური მოსაზრებებით დათხოვნის შესახებ არალეგალური შეთანხმების შედეგი. ეს გადაწყვეტილება გამოწვეული იყო იმ ზეგავლენით, რაც გენერალურ მდივანზე მოახდინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს ერთ-ერთმა ორგანომ, სახელდობრ საშინაო უშიშროების საკითხთა სენატის ქვეკომისიამ.

ყოფილი ბონელი მინისტრის გერეკეს გამოსვლა

ბერლინი, 3 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო ფინსტერვალდიდან გადმოგვცემს, ქვემო საქსონიის მხარის პრემიერ-მინისტრის ყოფილმა მოადგილემ და სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა დოქტორმა გერეკემ დასავლეთ გერმანიის ამომრჩევლებს მიმართა მზურვალე მოწოდებით 6 სექტემბრის არჩევნებში ხმა მისცენ ადენაუერის კოალიციის წინააღმდეგ და, ამრიგად, შესაძლებელი გახადონ გაერთიანების ეროვნული მთავრობის შექმნა.

ფიზიოლოგთა მე-19 საერთაშორისო კონგრესი

ოტავა, 1 სექტემბერი. (საკდესი). მონრეალში (კანადა) გაიხსნა ფიზიოლოგთა მე-19 საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესის პირველ პლენარულ სხდომას დესწრო 42 ქვეყნის 2 ათასამდე დელეგატი, მათ შორის საბჭოთა ფიზიოლოგების დელეგაცია. მოელიან, რომ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს 48 ქვეყნის 2.200 ფიზიოლოგი. კონგრესის მსვლელობაში მოსმენილ იქნება დელეგატთა 211 მოხსენება პლენარულ სხდომებსა და სექციების სხდომებზე. კონგრესის პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეულია საბჭოთა ფიზიოლოგების დელეგაციის მეთაური აკადემიკოსი ბიკოვი.

კონგრესი გახსნა კანადის ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტმა და ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორმა დოქტორმა ბესტმა.

ინგლისელმა დელეგატმა ადრიანმა წინადადება შეიტანა ფიზიოლოგთა საერთაშორისო კავშირის მოწყობის შესახებ. რომელიც სამეცნიერო კავშირების საერთაშორისო საბჭოს მეშვეობით შევა იუნესკოში (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაცია).

მექსიკის პრეზიდენტის რუის კორტინესის ნერილი კონგრესისადმი

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ქალაქ მექსიკოდან იუწყება, მექსიკის პრეზიდენტმა რუის კორტინესმა კონგრესისადმი თავის პირველ წერილში „მექსიკის მდგომარეობის შესახებ“ განაცხადა, რომ მექსიკას მოელის ეკონომიური სიძნელეები, და გააფრთხილა ხალხი, რომ შესაძლებელია შესუსტდეს საქმიანი აქტივობა და გაძლიერდეს კვების პროდუქტების ნაკლებობა. მან განაცხადა, რომ ეს ორი პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში წარმოების გაფართოების გზით.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ცნობით, რუის კორტინესმა თავის წერილში აღნიშნა, რომ მთავრობა არ მიმხრობია არც ერთ ხელშეკრულებას, რომლებიც ითვალისწინებენ „დამატებით ვალდებულებებს ურთიერთდახმარების გაწევის შესახებ“. კორესპონდენტის სიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ მექსიკა არ აპირებს ხელი მოაწეროს შეთანხმებას შეერთებულ შტატებთან „ურთიერთ თავდაცვის შესახებ“.

დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა ახალი პროვოკაცია

ბერლინი, 2 სექტემბერი. (საკდესი). ბუნდესტაგის (დასავლეთ გერმანიის პარლამენტის ქვედა პალატა) არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად ბონელი ხელისუფალნი სულ უფრო მეტ ნერვულობას იჩენენ, აწყობენ ახალ პროვოკაციებს და ტეროროს აქტებს გერმანიის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ.

როგორც რეიტერის საგენტოს ბონელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, გუშინ ბონელმა ხელისუფლებამ ახალი პროვოკაციული კამპანია დაიწყეს. დასავლეთ გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თითქოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან დასავლეთ გერმანიაში არალეგალურად შეიდენენ „აღმოსავლეთგერმანელი კომუნისტების მოიერიშე რაზმები“, რომლებმაც მიიღეს ინსტრუქციები, რომ „ტეროროს მეთოდებით“ ხელი შეუშალონ ბუნდესტაგის 6 სექტემბრის არჩევნებს.

ბონის მთავრობის ეს უხეში პროვოკაციული ჭორი, უეჭველია, იმისათვის დასჭირდათ, რომ არჩევნების წინ შექმნან საბაბი ახალი დაპატიმრებისა და ტეროროსტული მოქმედებისათვის გერმანიის კომუნისტური პარტიის და დასავლეთ გერმანიის სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ, დააშინონ ამომრჩეველები და ამასთან ერთად გააძლიერონ სიცრუის კამპანია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამ სიცრუის საფარით ბონელი ხელისუფალნი შეუდგნენ დემოკრატიული ელემენტების მასობრივ დაპატიმრებას მთელ დასავლეთ გერმანიაში. რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი მაინის ფრანკფურტიდან იუწყება სამი ათასამდე „კომუნისტი აგიტატორის“ დაპატიმრებას. ლონდონის რადიოს ცნობით, დაპატიმრებულთა რიცხვმა ოთხნახევარ ათასს მიაღწია.

დასავლეთ გერმანიის საავიაციო მრეწველობის აღდგენა

ბერლინი, 1 სექტემბერი. (საკდესი). ადნ-ის საგენტო მიუნხენიდან იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა კომისარმა კონენტმა „კონტროლისაგან“ გაათავისუფლა საავიაციო კონცერნ „იუნკერსის“ მიუნხენის ქარხანა — „იუნკერსსშიფენენ უნდ მეტალბაუ“. ამ ღონისძიების შედეგად გაფართოვდება იუნკერსის აღდგენილი საავიაციო ქარხნები ლოფულდენში (კასელის ახლოს), რომლებშიც ადენაუერი მონაწილეობას იღებს თავისი ძმისშვილის მეშვეობით.

ადენაუერის გეგმით, რომელსაც განზრახული აქვს გაიერთიანოს დასავლეთ გერმანიის საავიაციო მრეწველობა საგვარეულო კონცერნად, უნდა გაერთიანდეს დასავლეთ გერმანიის მეტი წილი საავიაციო საწარმოება.

საგაფიცვო მოძრაობა საფრანგეთში

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ გრძელდება საგაფიცვო ბრძოლა საფრანგეთის მთელ რიგ ქალაქებში. უკვე 20 დღეა, რაც გრძელდება 15 ათას ჰავრელ მელითონეთა და მშენებელთა გაფიცვა, რომლებიც მოითხოვენ მატერიალური მდგომარეობის გუმჯობესებას. გუშინ მანქანათმშენებელი და მშენებლობის მრეწველობის მეწარმეების გაერთიანებათა შენობების წინ გაფიცულებმა მოაწყეს მიტინგი, ხოლო შემდეგ კოლონებად გაიარეს ქალაქში პასუხად მეწარმეთა უარისა — არ დაკმაყოფილონ მათი მოთხოვნები, მუშებმა განაცხადეს, რომ გაფიცვა გაგრძელდება.

მეხუთე დღეა გრძელდება სტრასბურგის 700 ოკეანის გაფიცვა. გაფიცულები გუშინ შრომის ბირჟაში შეიკრიბნენ და მიიღეს გადაწყვეტილება განაგრძონ ბრძოლა მოთხოვნათა სრულ დაკმაყოფილებამდე.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი შვეიცარიაში

ნოდიჯაუზენი, 2 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). საჭადრაკო ტურნირის მესამე ტურში საბომ, რომელიც თეთრებით ეთამაშებოდა კერესს, პარტიის დასაწყისშივე დაუშვა სერიოზული შეცდომა და დაკარგა პაიკი სრულიად უკომპენსაციოდ. საბჭოთა გროსმაისტერმა ზუსტი თამაშით გაანაღდა თავისი მცირე მატერიალური უპირატესობა და გამარჯვება მოიპოვა. ავერბახ-რეშევსკის შეხვედრა, რომელიც დაძაბულად მიმდინარეობდა, ყაიმით დამთავრდა. მშვიდი ბრძოლის შემდეგ ასეთივე შედეგით დამთავრდა ნაიდორფ-გლიგორიჩის და პეტროსიან-ბრონშტეინის შეხვედრები. სამი პარტია გადადებულია. სმისლოვს ეივესთან გათამაშებულ პარტიაში აქვს ზედმეტი მხედარი ორ პაიაში და გამარჯვების კარგი შანსი. ბოლესლავსკის მოგების შანსი აქვს კოტოვთან გათამაშებულ პარტიაში. დაახლოებით თანაბარი პოზიციით შეწყდა შტალბერგისა და გელერის შეხვედრა. ხვალ გათამაშდება გადადებული პარტიები.

ტურისტულ-ალპინისტური ლაშქრობა

საბჭოთა ალპინიზმის 30 წლისთავთან დაკავშირებით ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ტურისტულმა კაბინეტმა მოაწყო 21-დღიანი ტურისტულ-ალპინისტური ლაშქრობა მარშრუტით — ქუთაისი-თბილისი-დარიალის ხეობა-ძაუჯიყაუ-კისლოვოდსკი-ქლუხორი-თებერდა-ქლუხორის გადასასვლელი-სუხუმი-ბათუმი-ქობულეთი-ქუთაისი.

ლაშქრობაში მონაწილეობდა 22 მოსწავლე, 4 პედაგოგი და ექიმი. მათ დაათვალიერეს ქალაქების ღირსშესანიშნავი ადგილები, მუზეუმები, გამოფენები, დაათვალიერეს ახალი მშენებლობანი, შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებს, მოსკოველ, სარატოველ, კუიბიშეველ და კურგანელ ნორჩ ტურისტთა ჯგუფებს, შეისწავლეს ჩვენი სამშობლოს ფლორა და ფაუნა, შეაგროვეს მინერალები, მცენარეთა ჰერბარიუმები და მწერების კოლექციები.

ნორჩმა ტურისტებმა ფეხით გაიარეს 200-მდე კილომეტრი, გადაიარეს ქლუხორის გადასასვლელი და მიიღეს „საბჭოთა კავშირის ტურისტის“ სამკერდე ნიშნები.

გ. ა. ჯიმშელეიშვილი — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა დოცენტმა გ. ა. ჯიმშელეიშვილმა წყალმომარაგების, კანალიზაციის, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და საინჟინერო გეოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია თემაზე: „არხსაგებნების გეგმარების განზოგადებული მეთოდები წყლის უთანაბრო ძრაობის შემთხვევებში“.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. ა. ჯიმშელეიშვილისათვის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

გ. ა. ჯიმშელეიშვილი 35 სამეცნიერო შრომისა და 10 გამოგონების ავტორია. იგი პირველი ქართველი დოქტორია ჰიდროტექნიკის დარგში.

მ. ჭოლაძეს სამი ვაჟი შეეძინა

წყალტუბოს რაიონის სოფელ თერნალის მცხოვრებ მარო ჭოლაძეს ამ დღეებში სამი ბავშვი შეეძინა. ბავშვები სამივე მამრობითი სქესისაა და ჯანმრთელია. პირველი იწონის 3.200 გრამს, მეორე — 2.400 და მესამე — 2.300 გრამს. ბავშვებსა და დედას წყალტუბოს რაიონული საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ამჟამად დედა მ. ჭოლაძე თავის სამი ვაჟით საკუთარ ოჯახშია და თავს კარგად გრძნობს.

თბილისი. ბარნოვის ქუჩაზე ამ დღეებში დამთავრდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა ხაბავშვო ბაღის ახალი შენობა. აღსაზრდელთა თვითეულ ჯგუფს საკუთარი კეთილმოწყობილი ოთახი აქვს. სურათზე: № 1 ხაბავშვო ბაღის ახალი შენობა. ფოტო შ. ჩხეტიანისა

ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა გამოფენა.

გამოფენაზე ექსპონირებულია 150-მდე ნამუშევარი. აქ წარმოდგენილია ფერწერისა და გრაფიკის ნიმუშები, აგრეთვე სკულპტურული ნაწარმოებები.

ყურადღებას იპყრობს სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ვეფხვაძის, ა. ნაცვლიშვილის, ნ. იანქოშვილის და ლ. შაბარშინას ნამუშევრები.

გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით მოწყო დიდი საღამო. მოხსენება — „ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედება“ წაიკითხა მხატვარმა თ. თავაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე პ. კანდელაკი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. დადიანი და საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. თოფურიძე.

სასამართლოს დარბაზიდან

კომბინატორთა ჯგუფი

წალკის რაიონის ხორცდამზადების კანტორაში მოკალათებული იყვნენ კომბინატორები ი. მხუქნიშვილი, შ. გოგინაშვილი, ა. მეზიროვი, პ. აბრამოვი და ვ. კაუშლიევი, რომლებიც თანამდებობის ბოროტად გამოყენებით და ათახგვარი სიყალბით სისტემატურად იტაცებდნენ სახელმწიფო ქონებას.

რაიკანტორის მმართველის შ. გოგინაშვილის მეთაურობით აფერისტების ეს ჯგუფი იტაცებდა კოლმეურნეების მიერ ჩაბარებულ ხორცს, მსხვილფეხა საქონელს. ნაქურდალის გასაღებში მათ ეხმარებოდნენ სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ი. კოკლამაზაშვილი და ამავე კოლმეურნეობის სარეგიზო კომისიის წევრი ი. ცორიკაშვილი. მათ ზემოთდასახელებული პირებისაგან მილებული 7 ტონა ხორცი გაყიდეს და აღებული ფული — 49.245 მანეთი ბოროტმოქმედების სხვა მონაწილეებთან ერთად თანაბრად გაინაწილეს. ამასთანავე გოგინაშვილის ჯგუფმა სოფელ ბოდბის კოლმეურნეობას მიჰყიდა 600 კილოგრამი ნაქურდალი ხორცი.

აფერისტები ცალცალეც მოქმედებდნენ. მაგალითად, მეზიროვმა მითვისა 3.270 მანეთი საქვეანგარიშო თანხა. მანვე მოლარე აბრამოვთან ერთად გაფლანგა 6.000 მანეთი. მათ არც ბაზის გამგე კაუშლიევი ჩამორჩა. მან მატყლის დამზადების დროს მითვისა 14.718 მანეთი.

მაგრამ კომბინატორებს დიდხანს არ შერჩათ პარპაში. ისინი მალე წარსდგნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელი სესიის წინაშე.

სასამართლომ სახელმწიფო ქონების გაფლანგველებს გოგინაშვილს, მსუქნ